გაზეთი ბეჭდავს, „ვერსია“ ეხმიანება

ვერსია

№1 (1591) 12 იანვარი ოთხშაბათი 2022 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

რომელი ცნობილი ადამიანის ფსევდონიმია მამუკა მამუკაძე, რომელიც „ხელზე გამაზვებს“ კურირებს

ზვიად გამსახურდიას ცურვა დინების საწინააღმდეგოდ

„დაწერეთ საჯაროდ: თანახმა ვარ, გავხდე დაავადებათა კონტროლის ცენტრის დირექტორი, ბატონ ამირანზე უკეთესი ვარ!“

სკანდალური ინტერვიუ გიორგი ფხაკაძესთან

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

რა გავლენას მოახდენს ყაზახეთის მოვლენები საქართველოზე

„ქვეყანა საფრთხისა და ამავდროულად, პერსპექტივის წინაშე დგას“ – ხათუნა ლაგაზიძის შეფასებები და პროგნოზები

ზვიად გამსახურდიას ცურვა დინების საწინააღმდეგოდ

ვანო პავლიაშვილი

„წითელი ხუნტას აღსასრული ახლოვდება“ – გასწირა თუ არა დასავლეთმა საქართველოს პირველი პრეზიდენტი

ამბობენ, რომ ისტორიაში რაღაცები მეორდება. ეს სენტენცია ვინმეს, შესაძლოა, ალოგიკური ჰგონია, მაგრამ ამბები, რაც ახლა ყაზახეთში ხდება, რაღაცნაირად, საქართველოში, ლამის 30 წლის წინ მომხდარ მოვლენებს ჰგავს ანუ 1991-92 წლების ქართულ და ახლანდელ ყაზახურ ქრონიკებს შორის პირდაპირი პარალელის გავლება არ შეიძლება, მაგრამ კარგად თუ დავუკვირდებით, მივალთ დასკვნამდე, რომ შორეულ 90-იან წლებში, რუსეთისა და დასავლეთის დაპირისპირების პოლიგონი საქართველო გახდა, ახლა კი ამ, ასე ვთქვათ, მისიას ყაზახეთი ასრულებს. ისე, მაშინ საქართველო, უფრო კონკრეტულად, საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია დასავლეთისთვის მაინცდამაინც მისაღები პერსონა არ იყო. აკი, გავლენიანმა ამერიკელმა პოლიტიკოსმა თქვა კიდეც, გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო. ჩვენში დარჩეს და, აწ განსვენებული პრეზიდენტი დინების მიმართულებით არასოდეს მიცურავდა. ზოგადად, დინების მიმართულებით ცურვა მკვდარ თევზებს სჩვევიათ. დინების საწინააღმდეგოდ კი მხოლოდ ისინი მიდიან, რომელთაც იდეა და მიზანი აქვთ ანუ დინების საწინააღმდეგო ცურვა თავისუფლების მოყვარულთ ახასიათებთ. ზვიად გამსახურდია კი, ვინმეს მოსწონს თუ არა, ქართული თავისუფლების სიმბოლო იყო და არის!

დიახ, მას სწორედ თავისუფლების ეს სიყვარული არ აპატიეს და მოხდა ის, რაც მოხდა – ეროვნული ხელისუფლება ჩვენივე ხელით დავამხეთ, თუმცა ამ თემაზე საუბარი დღეს მოდური არაა. უფრო მეტიც, 6 იანვარს, ყასიდადაც არავის უთქვამს, რომ ზუსტად 30 წლის წინ, ესე იგი, 1992 წლის 6 იანვარს, ზვიად გამსახურდია იძულებული გახდა და მცირერიცხოვან გარემოცვასთან ერთად, სამშობლო დატოვა... თავდაპირველად, დევნილი პრეზიდენტი აზერბაიჯანის საზღვარს მიადგა, თუმცა ოფიციალურმა ბაქომ გამსახურდიას მიღებაზე ცივი უარი განაცხადა.

ერთ-ერთი მოსაზრებით, აზერბაიჯანს დევნილი პრეზიდენტის მიღებაზე უარი რომ არ ეთქვა, ზვიად გამსახურდიას ბედისწერა, შესაძლოა, სხვანაირი ყოფილიყო, თუმცა ამ ვერსიას გამსახურდიას თანამებრძოლი, უზენაესი საბჭოს წევრი, აწ განსვენებული, თემურ ქორიძე არ ეთანხმებოდა და ამბობდა:

„გამსახურდიას მისია გაცილებით დიდი იყო, ვიდრე რაღაც პოლიტკონიუნქტურის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება. ზვიადი, ისევე, როგორც მერაბი, იმთავითვე გაჩენილი იყო იმისთვის, რომ შესწირვოდა ამ მისიას, რაც რჩეულთა ხვედრია. გამსახურდიას ეს ჰეროიკული დასასრული მას შემდეგ უნდა დამდგარიყო, როცა იგი უმთავრეს სასიცოცხლო მიზანს მიაღწევდა -გამოაცხადებდა საქართველოს დამოუკიდებლობას. ზვიადს თავის ნაწარმოებებში გაშიფრული აქვს საკუთარი ბედისწერა, გმირული აღსასრული, რომლისკენაც მიიწევდა. საქართველოს ბედისწერა კი არც მუთალიბოვისა და არც პეტროსიანის კეთილ განწყობაზე არ ყოფილა დამოკიდებული“.

შესაძლოა, ასეც იყო და ზვიად გამსახურდიას, მართლაც, ის მისია ჰქონდა, რომელიც შეასრულა – საქართველოს დამოუკიდებლობა აღადგინა, მაგრამ მიუხედავად ამისა, 30 წლის შემდეგაც კი ისევ ბურუსითაა მოცული, თუ რა მოხდა 1991-92 წლებში, საქართველოში და ასევე, გაურკვეველია, რატომ არ გაუწოდა დახმარების ხელი მეზობელმა აზერბაიჯანმა საქართველოს პირველ პრეზიდენტს?

* * *

„პრეზიდენტი, ოჯახის წევრებსა და თანმხლებ პირებთან ერთად, განჯამდე ჩავიდა, თუმცა თავშესაფარზე უარი უთხრეს და გზა ბაქოსკენ აღარ გაუგრძელებია. მიუხედავად იმისა, საქმე უკანონოდ დამხობილ და ქვეყნიდან გაძევებულ პრეზიდენტს ეხებოდა, მათ უარის მიზეზი არ განმარტეს, თუმცა... აიაზ მუთალიბოვმა რუსეთის ფაქტორის გამო ვერ გაბედა, ზვიად გამსახურდიასთვის, თუნდაც დროებით თავშესაფარზე თანხმობა ეთქვა... სხვათა შორის, ძალიან სანდო წყაროსგან მაქვს ინფორმაცია, რომ რუსული სპეცსამსახურები ჯერ კიდევ მაშინ ცდილობდნენ მიახლოებოდნენ სანატორიუმს და მოეკლათ ზვიადი, მაგრამ ვერ აეწყო ოპერაცია. ჩაშლილი სპეცოპერაციიდან, დაახლოებით 8-9 დღეში, გამსახურდიამ სომხეთი მას შემდეგ დატოვა, რაც ჯოხარ დუდაევის დაცვის უფროსი, აბუ არსანუკაევი საკუთარი თვითმფრინავით ერევანში დაჯდა და სომხეთის პრეზიდენტს ესაუბრა. სხვათა შორის, ტერ-პეტროსიანს დაუკავშირდა ჯოხარ დუდაევიც. ისე, პრეზიდენტს არასოდეს უნახავს სანატორიუმში გამსახურდია, რადგან სომხეთს, პრაქტიკულად, დამოუკიდებლობაზე მეტად, მთიანი ყარაბაღის დაპყრობა უღირდა და რუსეთთან კარგი ურთიერთობები სჭირდებოდა.

როცა ზვიადი იჯევანში იყო, ქალაქის საკრებულოს დელეგაციას სთხოვა, გაეჩხრიკათ მისი ბარგი. მიზეზი ის იყო, რომ თბილისში, გადამტრიალებლები აქტიურად მუსირებდნენ, თითქოს გამსახურდიამ გაიტაცა რამდენიმე მილიარდი. ოქმი შეადგინეს, რა თქმა უნდა, ვერაფერი აღმოაჩინეს. როგორც ვიცი, მაშინ ტერ-პეტროსიანთან მოლაპარაკებას აწარმოებდა ზვიადის ერევნელი მეგობარი, ფილოსოფიის დოქტორი და პროფესორი, კარენ სვასიანი. მას შვეიცარიაში შევხვდი, გვიან 90-იანებში“, – იხსენებდა რამდენიმე წლის წინ, გაზეთ „ვერსიისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ზვიად გამსახურდიას უფროსი ვაჟი, კონსტანტინე გამსახურდია.

ასეა თუ ისე, ფაქტების ერთობლიობა იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ ზვიად გამსახურდია მხოლოდ ქვეყნის შიგნით კი არა, ქვეყნის გარეთაც გასწირეს.

თუ კიდევ უფრო სიღრმეში წავალთ, მაშინ იმის თქმაც შეიძლება, რომ ამ დიდი შეთქმულების დეტალები ჩრდილოეთში შეთანხმდა, თუმცა მთელ ამ პოლიტ-კრიმინალურ აგორაში, ყველაზე უცნაური ისაა, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტისა და ეროვნული ხელისფლების დამხობის, ასევე, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების საქმე, 1992 წლის შემდეგ ხელისუფლებაში მოსულ ერთ პოლიტიკურ ჯგუფსაც კი არ გამოუძიებია.

ყველაფერი ეს კი, ცხადია, აჩენს გონივრულ ეჭვს, რომ საქართველოს უახლეს ისტორიაში სამოქალაქო ომის სახელით შესული ქრონიკების საიდუმლოს ამოხსნა არავის აწყობს.

რატომ? – თუ კულუარულ ვერსიებს გავყვებით, დღესაც არიან პოლიტიკურ ელიტაში ისეთები, რომლებიც ზვიად გამსახურდიას სისხლიან დამხობაში ლომის წილს ასრულებდნენ. თუ ასეა, მაშინ გამოდის, რომ ჩვენ მოჯადოებულ წრეზე ვტრიალებთ და ეს წრე არასოდეს გაიხსნება...

მოკლედ, 1992 წლის 6 იანვარს, ზვიად გამსახურდიამ სამშობლო დატოვა და მისი მოწამეობრივი ცხოვრების ახალი ფურცელი გადაიშალა... 6 იანვრამდე კი იყო 1991 წლის 22 დეკემბერი, საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული დღე – ქართველმა ქართველს, კიდევ ერთხელ, სწორედ ამ დღეს ესროლა!

ისე, ვიღაცები დღემდე ცდილობენ, გაარკვიონ, სასხლეტს პირველად თითი ოპოზიციამ გამოჰკრა თუ პრეზიდენტის გარემოცვამ, მაგრამ ქართული „ვიკიპედიის“ თანახმად, სამოქალაქო ომი იმდროინდელი ოპოზიციის კისერზეა.

„1991 წლის დეკემბერს, ოპოზიციამ რამდენიმე შენობაზე, მათ შორის, საქართველოს პარლამენტზე, სადაც გამსახურდია იმყოფებოდა, იერიში მიიტანა. მოგვიანებით, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის ყოფილი მოადგილე, გენერალი სუფიან ბეპაევი მიუთითებდა, რომ 1991 წლის 24 და 28 დეკემბერს, როდესაც შეიარაღებული ოპოზიცია კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, აღნიშნული სამხედრო ოლქი ცოცხალი ძალითა და ტექნიკით დაეხმარა სამხედრო გადატრიალების ორგანიზატორებს.

მძიმე ბრძოლები თბილისში, 1992 წლის 6 იანვრამდე გრძელდებოდა, რის გამოც, სულ მცირე, 113 ადამიანი დაიღუპა.

6 იანვარს, ზვიად გამსახურდიამ და მისი მთავრობის წევრებმა ალყაშემორტყმული შენობიდან გააღწიეს და აზერბაიჯანში გაიქცნენ, თუმცა იქ მათ თავშესაფარი ვერ მიიღეს. სომხეთმა გამსახურდია მცირე ხნით მიიღო და საქართველოში მის ექსტრადიციაზე უარი განაცხადა. საქართველოსთან დაძაბული ურთიერთობის გაუარესების თავიდან აცილების მიზნით, სომხეთის მთავრობამ გამსახურდიას საშუალება მისცა, ჩეჩნეთში გაქცეულიყო, სადაც მას ჯოხარ დუდაევის მთავრობამ თავშესაფარი მისცა“, – ნათქვამია ქართულ „ვიკიპედიაში“.

მოგვიანებით, გაჩნდება მტკიცებულებები, რომ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ მოწყობილ ამბოხებას ხელს საბჭოთა ჯარები უწყობდნენ.

1992 წლის 15 დეკემბერს, რუსული გაზეთი „მოსკოვსკიე ნოვოსტი“ აქვეყნებს წერილს, რომლის თანახმადაც, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ყოფილ ვიცე-ხელმძღვანელს, გენერალ-პოლოვნიკ სუფიან ბეპაევს სამხედრო ოპოზიციის დასახმარებლად, თბილისში ქვედანაყოფი ჰყავდა გაგზავნილი.

დასასრული მე-3 გვერდზე

ზვიად გამსახურდიას ცურვა დინების საწინააღმდეგოდ

მე-2 გვერდიდან

რუსული გამოცემის მტკიცებით, ამ დანაყოფის ჩაურევლად, გამსახურდიას მომხრეებს გამარჯვება გარანტირებული ჰქონდათ.

ამავე წერილის თანახმად, 1991 წლის 28 დეკემბერს, ოპოზიციამ სატელევიზიო ანძაც, სწორედ რუსი სამხედროების ხელშეწყობით აიღო.

ამის შემდეგ, ერთ დროს მზიან და ია-ვარდების საქართველოში, მოვლენები „არამზიანად“ ვითარდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ძალაუფლებას ხელში სამხედრო საბჭო იღებს, რომელიც ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტის წოდებას ართმევს.

მოგვიანებით, სამხედო საბჭოს თავს „სახელმწიფო საბჭოდ“ აცხადებს და სახელმწიფოს მეთაურობას საქართველოს ცეკა-ს ყოფილ მდივანსა და საბჭოთა კავშირის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს სთავაზობს.

თვითმფრინავი, რომელსაც ედუარდ შევარდნაძე ჩრდილოეთიდან სამშობლოში ჩამოჰყავს, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, 1992 წლის 7 მარტს ეშვება.

„ძალაუფლების შეცვლა განხორციელდა, როგორც Fait Accompli ანუ ფორმალური რეფერენდუმისა და არჩევნების გარეშე. შესაბამისად, 1992 წლის შემოდგომამდე, ედუარდ შევარდნაძე ქვეყნის არაფორმალური მმართველი იყო. შემოდგომაზე კი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩიეს“, – აღნიშნულია „ვიკიპედიაში“.

სხვათა შორის, ზუსტად იმ დროს, როცა თბილისში ტყვიები ზუზუნებდა ანუ 1991 წლის 25 დეკემბრიდან 1992 წლის 6 იანვრამდე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დე-იურედ 20-მა სახელმწიფომ, მათ შორის, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სცნო.

„სამხედრო გადატრიალების დღეებსა და მის შემდეგაც, როგორც თბილისში, ასევე, საქართველოს სხვა ქალაქებში, სისტემატურად მიმდინარეობდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეთა საპროტესტო, მშვიდობიანი მიტინგები და დემონსტრაციები. არსებობს გადაუმოწმებელი მტკიცებულებები მომიტინგეთა წამებასა და დახვრეტაზე.

სამხედრო გადატრიალების შემდეგ, „მხედრიონმა“ და ეროვნულმა გვარდიამ წამოიწყეს გამსახურდიას მომხრე რეგიონების დარბევა, რამაც განსაკუთრებით მწვავე სახე სამეგრელოსა და აფხაზეთში მიიღო. ამის გამო, დასავლეთ საქართველოში, წინააღმდეგობის მოძრაობა გაძლიერდა და თანდათან შეიარაღებულ წინააღმდეგობად გადაიქცა“, – იუწყება იმდროინდელი პრესა, რომელიც სახელმწიფო საბჭოს არ სწყალობდა.

ცნობისთვის: საქართველოდან განდევნის მიუხედავად, ზვიად გამსახურდია პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა. ყოველ შემთხვევაში, ცნობილია, რომ 1992 წლის ნოემბერ-დეკემბერში, ფინეთის პარლამენტის საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფმა და ადამიანთა უფლებების საერთაშორისო საზოგადოებამ ავსტრიასა და ფინეთში მიიწვიეს. ორივე ქვეყანაში გამსახურდიამ არათუ პრესკონფერენციები გამართა, არამედ, პარლამენტარებსა და სხვა ოფიციალურ პირებსაც შეხვდა.

პარალელურად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონსა თუ რაიონში, გამსახურდიასა და სახელმწიფო საბჭოს მომხრეებს შორის დაპირისპირება გრძელდებოდა.

ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ინციდენტი 1992 წლის 24 ივნისს, თბილისში მოხდა – ამ დღეს გამსახურდიას შეიარაღებულმა მხარდამჭერებმა სახელმწიფო ტელევიზიის ცენტრი აიღეს და რადიოგზავნილიც გააგზავნეს:

„ლეგიტიმური მთავრობა აღდგენილია. წითელი ხუნტას აღსასრული ახლოვდება!“

ამ გზავნილიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ, ეროვნულმა გვარდიამ გამსახურდიას მომხრეები ტელევიზიიდან გამოდევნა.

ქვეყანაში „ზვიადიზმის“ ჩასახშობად მასობრივი ეგზეკუცია იწყება, რასაც საერთაშორისო ორგანიზაციები მკაცრად აკრიტიკებენ და მიანიშნებენ, საქართველოში ადამიანის უფლებები ირღვევაო, თუმცა მიუხედავად ამისა, ქვეყანამ მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე ფორმალური აღიარება მაინც მოიპოვა.

* * *

1993 წლის 24 სექტემბერი. სენაკში თვითმფრინავი ეშვება, რომელსაც დევნილი პრეზიდენტი საქართველოში ჩამოჰყავს. სენაკიდან ზვიად გამსახურდია ზუგდიდში მიდის, სადაც ე.წ. დევნილ მთავრობას აყალიბებს და აცხადებს, რომ სამხედრო ხუნტის წინააღმდეგ მშვიდობიან წინააღმდეგობას არალეგალურად გააგრძელებს.

პარალელურად, ზვიად გამსახურდია ცდილობს, ანტიშევარდნაძისტული კოალიცია შექმნას, რომელიც, ძირითადად, სამეგრელოსა და აფხაზეთის მოსახლეობას ეყრდნობა.

საქართველოში დაბრუნებული ზვიად გამსახურდიას უმთავრესი მოთხოვნა ხელახალი არჩევნების ჩატარებაა, თუმცა მას შემდეგ, რაც ანტიშევარდნაძისტული კოალიციის მებრძოლები ხელთ ე.წ. სამთავრობო შენაერთების მიერ დატოვებულ, დიდი რაოდენობით სამხედრო ამუნიციას იგდებენ, ხელახალი არჩევნების მოთხოვნა დღის წესრიგიდან იხსნება...

გამსახურდიას მომხრეები უკვე რამდენიმე მნიშვნელოვან ქალაქსა და სატრანსპორტო კვანძს, მათ შორის, ფოთსაც აკონტროლებენ.

„ფოთის ხელში ჩაგდებამ რუსეთის, სომხეთისა (რომელიც სრულად საქართველოს პორტებზე იყო დამოკიდებული) და აზერბაიჯანის ინტერესები საფრთხეში ჩააგდო. ამ სიტუაციაში, სამივე ქვეყანამ ერთგვარი, „ქუიდ პრო ქუო“ სვლა გააკეთა და მხარი შევარდნაძის მთავრობას დაუჭირა, რომელიც თავის მხრივ დასთანხმდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში გაწევრიანებას. მხარდაჭერა სომხეთისა და აზერბაიჯანისგან მხოლოდ პოლიტიკური იყო. რუსეთმა კი სწრაფად მოახდინა ჯარების მობილიზება საქართველოს ცენტრალური მთავრობის დასახმარებლად. 20 ოქტომბერს, დაახლოებით, 2 000 რუსი ჯარისკაცი, რკინიგზის დაცვის საბაბით, საქართველოს საზღრებს კვეთს და ე.წ. სამთავრობო ჯარს იარაღით ეხმარება. 2013 წლის 6 ნოემბერს, „ზვიადისტები“ ზუგდიდს კარგავენ“, – აღნიშნულია ისტორიულ წყაროებში.

1993 წლის ოქტომბრის დამლევს, პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და მისი რამდენიმე მხარდამჭერი იძულებულნი ხდებიან, თავი სამეგრელოს მთიან ნაწილს შეაფარონ.

1993 წლის 31 დეკემბერს, საქართველოს პირველ პრეზიდენტი ხობის რაიონის სოფელ ხიბულაში იღუპება.

„გამსახურდიას ტყვია თავში აქვს მოხვედრილი“, – იუწყებოდა ბრიტანული მედია.

1994 წლის თებერვალში, პრეზიდენტის ცხედარს გროზნოში გადაასვენებენ. პრეზიდენტის გარდაცვალების მიუხედავად, მის მიმართ სისხლის სამართლის დევნა კიდევ ათი წელი გაგრძელდება და საქმე მხოლოდ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, კერძოდ, 2004 წლის იანვარში შეწყდება.

2009 წელს, პრეზიდენტის პირველი ვაჟის, კონსტანტინე გამსახურდიას ხელმძღვანელობით, პარლამენტში, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი დროებითი კომისია შეიქმნება.

ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ, კომისია ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებაში ახალ ფაქტებსა და გარემოებებს გამოავლენს.

„კომისიის მიერ მოპოვებული მასალები და მათზე დაყრდნობით გაკეთებული დასკვნები აბათილებს თვითმკვლელობის ვერსიას, რომელიც ერთადერთ მსჯელობის საგნად იქცა 1994-2004 წლებში, პროკურატურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეში“, – იტყვის 2011 წელს, პარლამენტში გამოსვლისას კონსტანტინე გამსახურდია.

2013 წლის 26 სექტემბერს, ზვიად გამსახურდიას საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭება.

2015 წელს, ცნობილი ხდება, რომ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების საქმეზე გამოძიება განზრახ მკვლელობის მუხლით განახლდა. გავა რამდენიმე წელი და პირველი პრეზიდენტის ვაჟები მამის მკვლელობის გამოძიების დასრულების მოთხოვნით, აქციას გამართავენ და იტყვიან, რომ მთავარი პროკურატურა პირველი პრეზიდენტის მკვლელობის გამოძიებას განზრახ აჭიანურებს.

ამის მერე კიდევ ერთი ცუდი ამბავი მოხდება – ცოტენ გამსახურდიას თავს დაესხმებიან და სასიკვდილოდ სცემენ. მართალია, პირველი პრეზიდენტის ვაჟი სიკვდილს დაამარცხებს, მაგრამ ცოტნე სრულად გამოჯანმრთელებული დღესაც არაა...

* * *

ერთი სიტყვით, პოლიტიკას თავისი უცნაური კანონები აქვს, კანონები, რომელთა მიხედვითაც, თუკი საჭიროა, ადამიანის სიკვდილიც კი გამართლებულია ანუ იგივე დასავლეთს რომ მოენდომებინა, ზვიად გამსახურდიას ბედი, შესაძლოა, სხვანაირად წასულიყო, მაგრამ ზოგს ჰგონია, რომ მაშინ ცივილურმა სამყარომ ზურგი გვაქცია. ვდგავართ თუ არა დღესაც ამ საფრთხის წინ? – ზოგი ახლაც ამბობს, რომ ეს საფრთხე რეალურია, რადგან თუ იგივე ევროპა აზერბაიჯანულ გაზს თურქეთის გავლით მიიღებს, საქართველო მსოფლიო პოლიტიკური რუკის უმნიშვნელოვანესი ნაწილი აღარ იქნება, თუმცა დამაიმედებელი ისაა, რომ ბოლო დროს, გავლენიანი ამერიკელი თუ ევროპელი პოლიტიკოსები ერთმნიშვნელოვნად ამბობენ, რომ იგივე უკრაინაში, რუსეთის სამხედრო აგრესიას არ დაუშვებენ ანუ თუ უკრაინა რუსულ ოკუპაციას გადაურჩება, მაშინ ჩვენც მშვიდად ამოსუნთქვის საშუალება მოგვეცემა, მაგრამ პოლიტიკა ზუსტი მეცნიერება არაა, რომ ყველაფერი წინასწარ დეტალურად გათვალო. ამიტომ, ისღა დაგვრჩენია, მოთმინება გამოვიჩინოთ და მოვლენების განვითარებას დაველოდოთ...

რა გავლენას მოახდენს ყაზახეთის მოვლენები საქართველოზე

„ქვეყანა საფრთხისა და ამავდროულად, პერსპექტივის წინაშე დგას“ – ხათუნა ლაგაზიძის შეფასებები და პროგნოზები

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ყაზახეთში მასობრივი არეულობის შემდეგ, რუსეთსა და დასავლეთს შორის მოლაპარაკებების კასკადი იწყება – რუსეთთან დიალოგს აშშ-ს, ნატო-სა და ეუთო-ს წარმომადგენლები გამართავენ. ყაზახეთში კი 10 იანვარი გლოვის დღე იყო – პრეზიდენტმა ყასიმ-ჟომარტ თოყაევმა გლოვის დღე მსხვერპლის გამო გამოაცხადა, რომელიც მასობრივ არეულობას მოჰყვა. ჯერჯერობით დაუდგენელია, სულ რამდენი ადამიანი დაიღუპა მასობრივი პროტესტის დროს, თუმცა ცნობილია, რომ დაკავებულია 8 000-მდე მომიტინგე. ყაზახეთში საპროტესტო გამოსვლები 2 იანვარს, მანგისტაუს ოლქიდან დაიწყო და სხვა რეგიონებსაც მოედო. მასობრივი პროტესტის მიზეზი თხევადი ბუნებრივი აირის ორჯერ გაძვირება გახდა, რასაც ყაზახეთში ავტომფლობელების უმრავლესობა იყენებს. მართალია, 4 იანვარს, ყაზახეთის მთავრობამ საწვავის ფასის შემცირების გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ საპროტესტო აქციების მონაწილეებმა გამოსვლები არ შეწყვიტეს და მთავრობის გადადგომა მოითხოვეს. 4 იანვარსვე, ყაზახეთის მთავრობა გადადგა, თუმცა 5 იანვარს, საპროტესტო გამოსვლები გაგრძელდა და მასობრივი არეულობების ეპიცენტრად ქალაქი ალმატა იქცა, სადაც ხელისუფლების შეიარაღებულმა მოწინააღმდეგეებმა მერიის, პრეზიდენტის ყოფილი რეზიდენციის შენობები და ქალაქის აეროპორტი დაიკავეს. „რადიო თავისუფლების“ ყაზახური სამსახურის ინფორმაციით, 5 და 6 იანვარს, ალმატში მშვიდობიანი საპროტესტო გამოსვლების გარდა, მოროდიორობის – სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების დარბევისა და დაწვის ფაქტებიც იყო.

6 იანვარს, ალმატში, ე.წ. ანტიტერორისტული სპეცოპერაცია დაიწყო. პრეზიდენტმა თოყაევმა განაცხადა, რომ მასობრივ არეულობას აწყობენ ტერორისტული დაჯგუფებები, რომლებმაც მომზადება საზღვარგარეთ გაიარეს და ყაზახეთზე მათი თავდასხმა აგრესიის აქტად უნდა განიხილონ. 7 იანვარს, ტოყაევმა განაცხადა, რომ ყაზახეტში კონსტიტუციური წესრიგი აღდგა. ამავე მიმართვის საფუძველზე, ყაზახეთში კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის „სამშვიდობო კონტინგენტი“ განთავსდა. აღსანიშნავია, რომ ამ ორგანიზაციის მთავარი აქტორი რუსეთია. მოკლედ, რუსეთმა ყაზახეთში დესანტი გადასხა და გავრცელებული ცნობით, ეს პროცესი კიდევ გაგრძელდება.

ყაზახეთში განვითარებულ მოვლენებსა და სხვა საგარეო საკითხებზე „ვერსია“ პოლიტიკურ ექსპერტ ხათუნა ლაგაზიძეს ესაუბრა.

– ქალბატონო ხათუნა, თქვენი აზრით, ყაზახეთში მასობრივი გამოსვლების მაპროვოცირებელი რა გახდა – სოციალური პრობლემები თუ სხვა ძალა, რომელსაც მოვლენების ასე განვითარება აწყობდა?

– საბაბი თუნდაც სოციალური პრობლემები რომ ყოფილიყო, პროცესები ისე განვითარდა, რომ აშკარაა, ამით ვიღაცებმა ისარგებლეს. რაც ყველაზე რეალურ ვერსიად ჩანს, ისაა, რომ პროტესტს დაერთო კლანებს შორის ბრძოლა. ყაზახეთის დღევანდელი პრეზიდენტი თოყაევი, ამ მოვლენებამდე (ჩვენი მკითხველისთვის ნათლად რომ გამოჩნდეს), ყაზახი „მედვედევი“ ანუ რეალური მმართველის, ნაზარბაევის მიერ „დანიშნული“ პრეზიდენტი იყო. ნაზარბაევი კი, კონსტიტუციის მიხედვით, ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარედ დარჩა და ძალოვანი სამინისტროები მას ემორჩილებოდნენ. ამ მოვლენების დაწყებიდან მალევე, თოყაევმა ნაზარბაევი გადააყენა და ეს თანამდებობა თავად შეითავსა. მეორე მხრივ, გადააყენა და დააკავა ნაზარბაევის ძმისშვილი, სამაატ აბაში, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი გენერალი და ყაზახეთის ეროვნული უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე იყო. მისი ძმა, კაირატ სატუბალდი ყაზახეთში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ადამიანია – მილიარდერი, რომელიც კარგა ხანია, „თალიბანთან“ ახლო კავშირებითაა ცნობილი. როგორც ახლა ინფორმაცია ჟონავს, დაკავებული გენერლის ძმას მთებში ადგილობრივი რადიკალური ისლამის მიმდევართა საწვრთნელი ბანაკები ჰქონდა. ამ ბანაკების არსებობას ნაზარბაევის უკვე ყოფილი თანაშემწე ადასტურებს, რომელიც ამბობს, რომ საქმე სახელმწიფო ღალატთან გვაქვს, რადგან მთებში ტერორისტების მომზადების ბანაკები იყო და ამის თაობაზე ეროვნული უსაფრთხოების კომიტეტი დუმდა. ამ ინფორმაციიდან გამომდინარე, სრულიად ლოგიკურია, რომ ერთი ძმა, რომელიც ეროვნული უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე იყო, ხელს აფარებდა მეორე ძმას, ვის სახელსაც საწვრთნელი ბანაკები დაუკავშირდა.

რაც შეეხება გამოსვლებს, პროტესტი მთელ ყაზახეთს მოედო, მაგრამ ძალისმიერ ჯანყსა და ვანდალიზმს ადგილი, ძირითადად, ალმატში ჰქონდა, რასაც ყოფილი კრიმინალი კურირებდა, რომელიც აღნიშნულ ძმებთან კავშირში შეიმჩნეოდა.

შესაბამისად, როდესაც თოყაევმა ალმატში წესრიგის აღდგენის ბრძანება გასცა, უშიშროება და ჯარი არ დაემორჩილა.

ასევე, საინტერესოა, რომ ალმატში, პირველი პროტესტის მონაწილეების უმეტესობამ ვანდალურ პროცესებში მონაწილეობა არ მიიღეს.

– ამ პროცესებში ძალიან საინტერესოა ყაზახეთის არაფორმალურ მმართველად მიჩნეული ნურსულთან ნაზარბაევის როლი...

– დიახ, მას ჯერჯერობით განცხადება არ გაუკეთებია, არადა, ფაქტობრივად, ძმისშვილები თავად გაზარდა, რადგან მათ მამა ადრე გარდაეცვალათ. საინტერესოა, ეს რეალურად ნაზარბაევისა და მისი ძმისშვილების ერთობლივი ოპერაციაა, თუ არა.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ ამ პროცესებამდე, ნაზარბაევსა და მის ძმისშვილებს შორის კონფლიქტი მოხდა. ეს ვერსია ლოგიკური ჩანს, რადგან ნაზარბაევმა, რუსეთის ფრთის ქვეშ, ყველაფერი გააკეთა ყაზახეთის საზოგადოებაში ანტირუსული განწყობების ასაგორებლად და მისი რაციონალური თვისებებიდან გამომდინარე, მეეჭვება, რომ ყაზახეთში „თალიბანისა“ და რადიკალური ისლამის გაძლიერების მომხრე ყოფილიყო.

ასე რომ, როგორც ჩანს, უზარმაზარი რესურსის მქონე და ადგილობრივ სტრუქტურებში ფესვგადგმული ძმები ნაზარბაევსაც დაუპირისპირდნენ. ამ ფონზე, თოყაევმა რუსეთი მოიხმო, რადგან ძალოვან სამინისტროებზე კონტროლი დაკარგული ჰქონდა...

– თოყაევის თხოვნის შემდეგ, რუსეთმა ყაზახეთში მნიშვნელოვანი რაოდენობის დესანტი გადასხა. ამ ფონზე, პროცესების როგორ განვითარებას ელოდებით?

– აღნიშნული მოლაპარაკების მიხედვით, კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციისგან ანუ ე.წ. ოდეკაბესგან, რომელიც რუსეთის სახეზე, რეალურად, „ფერუმარილია“, 3 700 ჯარისკაცი უნდა შესულიყო. ასეც მოხდა – „ოდეკაბეს“ ეგიდით, ყაზახეთში, რუსეთის ჯარი შევიდა.

ვრცელდება ინფორმაცია და რუსეთის მხარეც აცხადებს, რომ გრძელდება ყაზახეთში საჯარისო ფორმირებების შეყვანა ანუ 3 700 კი არა, გაცილებით მეტი ჯარისკაცი და დიდი რაოდენობის ტექნიკა იქნება შეყვანილი.

საერთოდ, ყაზახეთი წიაღისეულით ძალიან მდიდარია და რუსეთის ჯარმა უკვე აიღო კონტროლი ამ მდიდარ რეგიონებზე. მნიშვნელოვანია რუსეთის პატრიარქის განცხადებაც, სადაც ის ყაზახეთის ჩრდილოეთ ნაწილს რუსეთის ტერიტორიებს უწოდებს და დუმის დეპუტატებიც საუბრობენ „სამართლიანობის აღდგენაზე“, რაც ყაზახეთის, მათი გაგებით, რუსული მიწების რუსეთის შემადგენლობაში დაბრუნებას ნიშნავს.

პუტინის პრესმდივანმა, დაახასიათა რა, თოყაევისა და პუტინის საუბრის შინაარსი, განაცხადა, ორი პრეზიდენტი საერთო ძალებით დაამარცხებენ საერთაშორისო ტერორიზმსო. ეს ძალიან მნიშვნელოვანი განაცხადია.

დასასრული მე-5 გვერდზე

რა გავლენას მოახდენს ყაზახეთის მოვლენები საქართველოზე

მე-4 გვერდიდან

– ასევე, მნიშვნელოვანია ჩინეთის ინტერესები ყაზახეთშიც...

– დიახ, ყაზახეთისა და ზოგადად, შუა აზიის მიმართ, ჩინეთის ინტერესი ძალიან დიდია და ცოტა ხნის წინ, ჩინეთის პრეზიდენტმა უკიდურესად საინტერესო განცხადება გააკეთა. კერძოდ, თოყაევს ბანდფორმირერებსა და ტერორისტულ დაჯგუფებებთან ბრძოლაში მხარდაჭერა გამოუცხადა ანუ ფაქტობრივად, მიემხრო ფორმულირებას, რომ იქ საერთაშორისო ტერორიზმს ებრძვიან. რუსეთის ჯარისთვის საერთაშორისო ტერორიზმთან მებრძოლის სტატუსის მოპოვება ძალიან მნიშვნელოვანია თუნდაც იმ მოლაპარაკებებში, რომელიც ახლა აშშ-სა და რუსეთს შორის იმართება.

ასევე, საინტერესოა, რომ ამავე განცხადებაში, ჩინეთის პრეზიდენტმა, რატომღაც ჩინეთისა და ყაზახეთის ურთიერთობების გაუარესების მცდელობა, ყაზახეთში მიმდინარე არეულობასთან დააკავშირა. როგორც ჩანს, იქ არეულობა, ან რუსეთის ჯარების შეყვანა ყაზახეთისა და ჩინეთის ურთიერთობასაც უთხრიდა ძირს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩინეთისთვის მნიშვნელოვანი პრობლემა საკუთარი მუსულმანი მოსახლეობა – იუღურებია და თუ ყაზახეთში „თალიბანის“ მომხრეები მართლაც მონაწილეობდნენ ალმატის არეულობებში, მაშინ გასაგებია ჩინეთის პოზიცია, რომ მეზობლად რადიკალური ისლამის სახელმწიფო არ აწყობს, თუმცა ჩინეთს არც რუსეთის სამხედრო ძალების შესვლა აწყობს ყაზახეთში და არც აპირებს, რომ რუსეთს შუა აზია უპირობოდ დაუთმოს.

ჩინეთს, რუსეთის მსგავსად, აქვს „შლეიფი“ ორგანიზაცია – „შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია“, რომელიც აერთიანებს რეგიონის ქვეყნებს ეკონომიკისა და უსაფრთხოების სფეროში. ამ ორგანიზაციას ჰყავს ანტიტერორისტული დანაყოფი, რომელმაც შესთავაზა თოყაევს დახმარება ტერორისტებთან ბრძოლაში. ეს მაგონებს თურქეთის მცდელობას, ჩაედგა „სამხედრო ფეხი“, ყარაბაღის ომის შემდეგ, აზერბაიჯანში – სამხედროების მონიტორინგის მისიის გაგზავნით.

მოკლედ, ჩინეთმა სცადა, რომ ყაზახეთში მისი სამხედროებიც ყოფილიყვნენ წარმოდგენილნი. ასე რომ, სულ მცირე, ჩინეთისთვის აღნიშნული პროცესები შეშფოთების ობიექტია და ყველაფერს გააკეთებს, რომ ყაზახეთში რუსეთი მარტო არ დატოვოს.

ამ გიგანტების ფონზე, თურქეთი ყაზახეთში უფრო მოკრძალებულია, მაგრამ თურქეთი თურანული ქვეყნების გაერთიანებაში ყაზახეთს მნიშვნელოვან როლს ანიჭებს და უახლოეს მომავალში, დაგეგმილია თურანული ქვეყნების ხელმძღვანელების შეხვედრა ყაზახეთის მოვლენებთან დაკავშირებით.

– აშშ-სა და ნატო-ს განცხადებები რუსეთის მიმართ მკვეთრად გამკაცრდა. რა როლი აქვს ყაზახეთის მოვლენების განვითარებაში დასავლეთს?

– დასავლეთს ყაზახეთის საბადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ხელში უჭირავს და უდიდესი ნავთობკომპანიები ამერიკულ, ბრიტანულ და ევროპულ ენერგოსაწარმოებს ეკუთვნის. ეკონომიკურად დასავლეთის მონაწილეობა გაცილებით დიდია ყაზახეთში, ვიდრე – რუსეთისა და ჩინეთის, თუმცა თუ რუსეთმა თოყაევი აიძულა, რომ საბადოების ნაციონალიზაცია განახორციელოს, ეს მარტივად ვერ მოხდება, რადგან ეს პირდაპირ, დასავლეთის ეკონომიკურ და უსაფრთხოების ინტერესებზე დარტყმა იქნება, მაგრამ დასვალეთის შანტაჟისთვის ეს თემა რუსეთმა, შეიძლება, მაინც გამოიყენოს.

ყაზახეთში განვითარებული მოვლენების ფონზე, რუსეთის აშშ-ნატოსთან მიმდინარე მოლაპარაკებებში, რუსეთი ფსიქოლოგიური უპირატესობით წარსდგება და მოითხოვს ლეგიტიმაციას, რომ ყაზახეთსა და ზოგადად, შუა აზიაში, საერთაშორისო ტერორიზმთან მებრძოლია.

– მოკლედ, კარგი საბაბი აქვს რუსეთს, რომ შუა აზიაში გავლენები გაიძლიეროს, არა?

– კი, რა თქმა უნდა, მაგრამ ერთი მხრივ, ჩინეთი ეცდება, წინ აღუდგეს რუსეთის გავლენებს და მეორე მხრივ, ალბათ, მოუწევს დასავლეთის ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებაც, თუმცა პუტინის ხასიათიდან გამომდინარე, სანამ რამეს შეეგუება, მაქსიმალურად ეცდება, რომ ეს შანტაჟისა და ვაჭრობისთვის გამოიყენოს.

ერთი რამ ცხადია: რუსეთს დასავლეთზე ზეწოლის დამატებითი ბერკეტი გაუჩნდა.

– 12 იანვარს, ბრიუსელში მოლაპარაკებები გაიმართება რუსეთსა და ნატო-ს წევრებს შორის. საქართველოს ინტერესი ამ შეხვედრის მიმართ გამძაფრებულია, რადგან ვიცით, რომ ბოლო დროს, რუსეთი კატეგორიულად მოითხოვს, ნატო-მ არ გააფართოვოს არეალი აღმოსავლეთის მიმართულებით. რა მოლოდინი გაქვთ საქართველოს ნატოში გაწვრიანების თვალსაზრისით?

– ძალიან პესიმისტურად ვიყავი განწყობილი დასავლეთის პოზიციის მიმართ, ობამას პრეზიდენტობის დროიდან, აშშ-ის პოზიციების განუხრელი დათმობის გამო. ბოლო ათწლეულის მანძილზე, აშშ ლამის ყველა მიმართულებით თმობდა პოზიციებს, მაგრამ ბოლო დღეებში, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, ბლინკენის განცხადება ზემკვეთრი აღმოჩნდა და ობამას პრეზიდენტობის შემდეგ, ძნელად მახსენდება აშშ-ის ოფიციალური პირის ასეთი ხისტი ბრალდებები რუსეთის მიმართ. მან განაცხადა, რომ რუსეთისთვისაც უმჯობესია, დიპლომატიური გზით მოგვარდეს ეს დაპირისპირება, მაგრამ თუკი დააპირებს უკრაინაში ძალისმიერ შესვლას, ჩვენ ამისთვისაც მზად ვართო.

ამავე ტონალობისაა იენს სტოლტენბერგის განცხადებაც, რომ აშშ-ის ხელმძღვანელობასთან ერთად, ნატო-ს უკვე მომზადებული აქვს თავდაცვის პაქტი, რუსეთთან მოლაპარაკებების ჩაშლის შემთხვევაში, ევროპაში ახალი შეიარაღებული კონფლიქტისთვის. ეს ეპოქალური განცხადებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ნატო-ს უკვე მზადყოფნა აქვს გამოცხადებული იმ შემთხვევისთვის, თუ რუსეთი თავისი მუქარის განხორციელებას დაიწყებს და სამხედრო ძალით უკრაინას შეუტევს.

ახლახან, საქართველოში, აშშ-ის საელჩომ გაავრცელა სახელმწიფო მდივნის, ენტონი ბლინკენის განცხადება:

„ნატო არ შეჭრილა უკრაინაში, ნატო არ შეჭრილა საქართველოში, ნატოს არ განუთავსებია ძალები მოლდოვაში, თავისი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ... გასული ოცი წლის განმავლობაში, რუსეთი შეიჭრა მეზობელ ქვეყნებში... შესაბამისად, მომდევნო დღეებსა და კვირებში, ჩვენ და ჩვენი მოკავშირეები ამ და სხვა საკითხს აუცილებლად დავაყენებთ დღის წესრიგში რუსეთთან“ ანუ რუსეთმა იმდენი ქნა, რომ საქართველო დააბრუნა საერთაშორისო პოლიტიკის დღის წესრიგში.

– ბაიდენისა და პუტინის საუბრის შემდეგ, აშშ-ის მხარის განცხადებები შედარებით რბილი იყო და პირდაპირ ითქვა, რომ უკრაინაში ჯარს არ შეიყვანდნენ. როგორ ფიქრობთ, რა შეიცვალა და ამ მოკლე ხანში, რატომ გაამკაცრა პოზიცია დასავლეთმა რუსეთის მიმართულებით?

– უკრაინაში ჯარების შეყვანაზე საუბარი არც ახლაა, საუბარი იმაზეა, რომ აშშ მზად არის, რუსეთს ესაუბროს სტრატეგიული შეიარაღების შემცირებასა და კონტროლზე. ბაიდენისა და პუტინის შეხედრის შემდეგ, ტონი მკვეთრი იმიტომ არ იყო, რომ პრეზიდენტები საბოლოო ინსტანციაა და დიალოგისთვის სივრცე უნდა დარჩენილიყო. ამიტომაც ახლა მოლაპარაკებები დაიწყება აშშ-ისა და რუსეთის საგარეო უწყებებს შორის და ჩანს, რომ დასავლეთი თან ტოვებს მოლაპარაკებისთვის სივრცეს, თან სამხედრო მზადყოფნაც აქვს გამოცხადებული. როგორი იქნება ეს ნაბიჯები – დამატებითი შეიარაღების მიწოდება უკრაინისთვის, ნატოს სადაზვერვო ინფორმაციის გაზიარება თუ სხვა რამ, ამას მხოლოდ მას შემდეგ ვიხილავთ, თუ რუსეთი გადადგამს აგრესიულ ნაბიჯებს უკრაინის მიმართულებით.

საქართველოსთვის დამაიმედებელი ისაა, რომ აშშ და ნატო კატეგორიულად გამორიცხავს ულტიმატუმის იმ მუხლებზე დიალოგს, რომელიც ითვალისწინებს ნატო-ს გაფართოებაზე უარის თქმას. ჩვენთვის დამაიმედებელია, რომ საქართველოსთვის არამცთუ დასავლური პერსპექტივა არ ჩაიკეტა, არამედ, დიდი ალბათობით, ბრუნდება დიდი პოლიტიკის დღის წესრიგში.

– ექსპერტთა საზოგადოებამ გამოაქვეყნა განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ფონზე, როცა რუსეთი აგრესიულად აქტიურობს, მნიშვნელოვანია, საქართველოში პოლიტიკური დაპირისპირება შეწყდეს და მიღებულ იქნას ზეპარტიული გადაწყვეტილება საგარეო საკითხებთან დაკავშირებით. როგორ აფასებთ ამ განცხადებას?

– ბუნებრივია, სასიცოცხლოდ აუცილებელია, რომ პასუხისმგებლობა გამოიჩიოს პოლიტიკაში მონაწილე ყველა მხარემ, როცა ქვეყანა ასეთი საფრთხის წინაშე დგას. კარგი იქნება, რომ პრეზიდენტის ინიციატივა შეთანხმების შესახებ, სწორედ ამ თემაზე კონცენტრირდეს. ვფიქრობ, პრეზიდენტს საექსპერტო საზოგადოების მხარდაჭერაც ექნება, თუ შერიგების ინიციატივის ღერძად ამ საკითხს აქცევს. ამაზე მეტად მნიშვენლოვანი და გამაერთიანებელი რაღა უნდა იყოს, როცა ქვეყანა ასეთი საფრთხისა და იმავდროულად, ასეთი პერსპეტივის წინაშე დგას?! ამას მხოლოდ ექსპერტები კი არ უნდა აკეთებდნენ, ამ ტიპის განცხადება ქართულ პოლიტიკურ სპექტრს კარგა ხნით ადრე უნდა გაეკეთებინა და ნატო-ს ქვეყნების ხელმძღვანელების მაგიდაზე დებულიყო.

სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს და კარგი იქნება, თუ პრეზიდენტი ამ მიმართილებით გააააქტიურებს ძალისხმევას, რადგან ვიღაც ხომ უნდა იყოს ამ უმნიშვნელოვანი პროცესის ინიციატორი? – მან ხომ აიღო პასუხისმგებლობა საყოველთაო შერიგებაზე და ამ პროცესის უმნიშვნელოვანესი ნაწილი უნდა იყოს საქართველოს საერთაშორისო ფუნქციისა და როლის თაობაზე საერთო-ეროვნული პოზიციის ჩამოყალიბება.

თათია გოჩაძე, 598-43-50-34

პანდემია ისევ მძვინვარებს – საქართველოში COVID-19-ის ახალი შტამის, „ომიკრონის“ 951 შემთხვევაა დადასტურებული. 11 იანვრის მონაცემებით, 24 საათში, საქართველოში კორონავირუსით ინფიცირების 5 486 ახალი შემთხვევა გამოვლინდა, გარდაიცვალა კიდევ 46 პაციენტი... ამის მიუხედავად, არსებობს განცდა, რომ „ომიკრონმა“, შესაძლოა, პანდემია დაასრულოს, რადგან ეს შტამი ძალიან სწრაფად ვრცელდება და ადამიანებს შედარებით ადვილად გადააქვთ, რის გამოც მოსახლეობაში ე.წ. ჯოგური იმუნიტეტი გამომუშავდება და კორონაპანდემიაც დასრულდება, თუმცა ამ თეორიას საზოგადოებრივი ჯანდაცვის მსოფლიო ექსპერტი, გიორგი ფხაკაძე მკაცრად ეწინააღმდეგება. „ვერსია“ გიორგი ფხაკაძესთან ექსკლუზიურ ინტერვიუს გთავაზობთ:

„დაწერეთ საჯაროდ: თანახმა ვარ, გავხდე დაავადებათა კონტროლის ცენტრის დირექტორი, ბატონ ამირანზე უკეთესი ვარ!“

ორ კვირაში კორონას ახალი შტამი გამოჩნდება – სკანდალური ინტერვიუ გიორგი ფხაკაძესთან

– ნოემბერში გავაკეთე მათემატიკური გათვლა, თუ რა შეიძლება მომხდარიყო არა მარტო საქართველოში, არამედ, მთელ მსოფლიოში. მსოფლიო ჯანდაცვის ბევრ ექსპერტთან ერთად ვმჯელობდით, რა სიხშირით გავრცელდებოდა ეს ვირუსი. ეს შტამი გავრცელდა აფრიკიდან, სამხრეთ აფრიკაში ვმუშაობდი და ვიცი მისი ჯანდაცვის სისტემა. ამიტომ, ჩემი პროგნოზი იყო, რომ ეს ვარიანტი იქნება უფრო რთული ბევრი მიზეზის გამო. შოკი მივიღე, როცა გენეტიკური სურათი ვნახე, თუ რა ტიპის მუტაციებია. ზოგი ამბობდა და საქართველოშიც აიტაცეს, რომ „ომიკრონი“ პანდემიას დაასრულებს, რასაც კატეგორიულად ვეწინააღმდეგებოდი პირველივე დღიდან და ვეკითხებოდი, რატომ ამბობდნენ იმას, რაც არ იციან?!

საქართველოს საკოორდინაციო საბჭოში არიან კარდიოლოგები, პედიატრები, ქირურგები. ხომ არ ვსაუბრობ მათი კომპეტენციის სფეროზე? არ ვარ მათ სფეროში ექსპერტი და ისინი კი ალაპარაკდნენ საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე, რაც მათი კომპეტენცია არაა! დაიწყეს სიტყვების ბრახა-ბრუხი, რის შედეგადაც ხალხს ჰგონია, რომ „ომიკრონი“ ჩვეულებრივი გრიპია და ყველაფერი კარგად იქნება. უნდა გვახსოვდეს, რომ „ომიკრონი“ არის კოვიდი და დამთავრდა! რა მნიშვნელობა აქვს, რომელი ვარიანტი იქნება?! მეტსაც გეტყვით, ახალი ვარიანტი გამოჩნდება ორ კვირაში. ყოველ კვირას, საგანგაშო ვარიანტები ჩნდება მსოფლიოში და „ომიკრონი“ არაა ბოლო, არამედ, არის ერთ-ერთი ვარიანტი. ჩემს სიტყვას გაიხსენებთ, რომ ორ კვირაში, კოვიდის ახალი ვარიანტი გამოჩნდება და გვეშველება მაშინ, როცა დედამიწაზე ყველა აიცრება.

რასაც ვამბობდი, ხომ დამტკიცდა, რომ თურმე, ბუსტერი საჭიროა, ჩინური ვაქცინები ნაგავია და „ფაიზერი“ კარგია?! სამწუხაროდ, საქართველოში საზოგადოებრივი ჯანდაცვის ლუსტრაცია მოხდა და გიორგი ფხაკაძის გარდა, არავინ დარჩა, ვინც სიმართლეს იტყვის. გაიხსენეთ, ბოლო ორ წელში რა ვთქვი და რა არ ასრულდა? – მლანძღავენ, შეურაცხყოფას მაყენებენ, საბოლოოდ, თუთიყუშებივით იმეორებენ ჩემს ნათქვამს და მერიდება, რომ ვთქვა, პლაგიატთან გვაქვს საქმე-მეთქი. საქართველოში არაპროფესიონალიზმის პიკია.

– გვითხარით, რა არის სიმართლე „ომიკრონის“ შტამთან დაკავშირებით?

– ძალიან მარტივად გეტყვით: „ომიკრონი“ არის კოვიდი, ხვალ გვექნება ახალი ვარიანტი, ზეგ კიდევ ახალი და ასე შემდეგ. ეს არის ვირუსისთვის დამახასიათებელი, ვნახეთ, რომ კოვიდი ადამიანიდან ცხოველს გადაედო და ისევ დაბრუნდა ადამიანთან. არაერთი კვლევაა, მაგრამ ჩემთვის, როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტისთვის, ყველაზე რთული ისაა, რომ კოვიდს ახასიათებს პოსტკოვიდური მდგომარეობა, რაც ყველაზე საყურადღებოა. კვლევით გამოჩნდა, რომ ორნახევარჯერ მეტად გამოვლინდა დიაბეტი იმ ბავშვებში, რომლებმაც კოვიდი გადაიტანეს. დავდე სტატია, დაახლოებით, 8 თვის წინ, კვლევის შესახებ, სადაც გამოჩნდა, რომ 80 000 ადამიანიდან, ვისაც კოვიდი ჰქონდა, 60%-ს დაუდასტურდა დიაბეტი 6-8 თვის შემდეგ, ვირუსის გადატანიდან და ახლა, ვინაიდან „ომიკრონი“ და „დელტა“ შტამები ბავშვებში ვრცელდება, სტატისტიკა დაიდო, რომ ორნახევარჯერ უფრო მეტი საშიშროებაა, ბავშვებს გამოუვლინდეთ დიაბეტი. ასევე, არსებობს კვლევა, რომ კოვიდი აზიანებს ტვინის უჯრედებს, სტატიაც დავწერე, მაგრამ იმდენად დამთრგუნველი იყო, რომ არ გამოვაქვეყნე. ეს კვლევა აჩვენებს, რომ ბავშვების IQ-ზე, გონებრივ განვითარებაზე მოქმედებს ანუ ეს იმდენად საშიშია, რომ ხალხმა კიდევ ვერ გაიგო. რა პანდემია დამთავრდა?! „ომიკრონის“ მთელი უბედურება ისაა, რომ ვრცელდება ძალიან სწარაფად. თუ დახურულ სივრცეში, 10 წუთზე მეტხანს გაჩერდებით და იქ ერთი ადამიანიც რომ იყოს ინფიცირებული, პირბადეც რომ გეკეთოთ და ვაქცინირებულიც იყოთ, შეიძლება, დაინფიცირდეთ.

– ბატონო გიორგი, იმედით ელოდება ხალხი „ფაიზერის“ წამალს, რომლის შემოტანაც იგეგმება საქართველოში...

– წამალი გვაქვს და არ იყენებენ, ამას ჰქვია ვაქცინა. სინგაპურის მაგალითია ძალიან საინტერესო, რადგან იქ „სინოვაკის“, „სინოფარმის“, „მოდერნას“ და „ფაიზერის“ ვაქცინებს იყენებენ და დაიდო კვლევა, რომ კოვიდგადატანილებში გარდაცვლილთა 80% არ იყო ვაქცინირებული. რაც შეეხება დანარჩენ 20%-ს, „სინოვაკითა“ და „სინოფარმით“ აცრილების სიკვდილიანობა 8-10% იყო და „მოდერნას“ სიკვდილიანობა იყო მხოლოდ 1%. საქმე ისაა, რომ საქართველოში, ყველაფერი კორუმპირებული და გაყიდულია იმიტომ, რომ ერთ-ერთმა გამომცემლობამ დაბეჭდა, ჩინური ვაქცინების ბუსტერ-დოზა ძალიან ეფექტურია! როგორ შეიძლება, ასეთი რამის გაკეთება?!

სად არის დაავადებათა კონტროლის ცენტრი და უშიშროება?! ლიცენზია უნდა ჩამოერთვას ასეთ ჟურნალისტს, რადგან დილეტანტიზმთან გვაქვს საქმე! სტატია რომ წავიკითხე, წერია, ეს კვლევა იყო დაფინანსებული ჩინეთის მთავრობის მიერ და ჩატარდა საუდის არაბეთში, სადაც აწარმოებენ ჩინურ ვაქცინებს. ასი სტატია დაიწერა, რომ ჩინური ვაქცინები არ ვარგა, მაგრამ ჩინეთის მიერ დაფინანსებული ერთი სტატია დაიბეჭდება სადმე და ყველა იმ ერთზე ლაპარაკობს!

„ფაიზერის“ ვაქცინის ვადის გასვლაზე რომ საუბრობს ყველა, რატომ არ კითხულობენ, ჩინურ ვაქცინებს ვადა არ გასდის?! ცერცვაძემ წამოიწყო ეს თემა, ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა და ბოდიშიც კი არ მოიხადა. ცერცვაძემ თქვა, რომ „ფაიზერის“ ვაქცინას ვადა გასდის და ყველა აიცერითო, არადა, როცა მუშაობ საქართველოში და ხარ საჯარო მოხელე, როცა იცი ადამიანების მენტალიტეტი, ხომ უნდა იცოდე, რა უნდა თქვა? ცერცვაძის მიერ აგორებული ეს თემა ახლაც არაა ჩამცხრალი. დღეში, მინიმუმ, 200 წერილი მომდის „ფაიზერის“ ვადაგასულობაზე. ბატონი გამყრელიძე რომ გამოდის და ამბობს, თუ ჩემზე უკეთესი გამოჩნდება ვინმე, გადავდგებიო, თქვენი გაზეთის მეშვეობით ვაცხადებ – მე, გიორგი ფხაკაძე, ჩამოვალ საქართველოში და 1 დოლარად ვიმუშავებ მის ადგილას, მაგრამ ვერავინ გაბედავს ამის შემოთავაზებას, რადგან ვამბობ ყოველთვის სიმართლეს და ძალიან პრინციპული ადამიანი ვარ. კორუფცია და ჩაწყობები ჩემთან არ გავა! საჯაროდ ვუთხარი მთავრობას, გამომიყენეთ – ჟენევაში ელჩად, მრჩევლად დამნიშნეთ, თქვენი ფული არ მინდა-მეთქი, მაგრამ მარტო მირეკავენ, მეკითხებიან, როცა ძალიან გაფუჭებული აქვთ საქმე, ვცდილობ, დავეხმარო, მაგრამ შედეგი ისაა, რომ ისევ იქ ვართ, სადაც ვიყავით. ბატონ ამირან გამყრელიძესთან მაქვს კონკრეტული პრეტენზია – როცა საკოორდინაციო საბჭოს წევრი ვიყავი, საბჭოზე ვუთხარი გამყრელიძეს, თქვენი სიკვდილობის სტატისტიკას არ ვეთანხმები, გაასაჯაროვეთ კონკრეტული სტსტისტიკა, რომ ყოველთვის იყოს ხელმისაწვდომი და არა შელამაზებული-მეთქი. პანდემიის მართვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ნამდვილად იცი, რა არის შენი მტერი, სად არის და რას შვრება... დღესაც არ გვაქვს რეალური სიკვდილობის მაჩვენებელი საქართველოში. ვიცით, რომ 14 000-ზე მეტი გარდაიცვალა, მაგრამ ვინ არიან ეს ადამიანები? მათგან რამდენია ვაქცინირებული და რამდენი – არა? ვაქცინირებული გარდაცვლილებიდან, რომელ ვაქცინაზე, რამდენი პროცენტი მოდის? ვიცი, რომ ჩინური ვაქცინებით აცრილებში სიკვდილობა უფრო მაღალია. რატომ არ დებს დაავადებათა კონტროლის ცენტრი ამ სტატისტიკას? – იმიტომ, რომ დღესაც ასაღებენ ჩინურ ვაქცინას.

– და რატომ?

– იმიტომ, რომ ჩინურ ვაქცინაში გადაიხადეს 32 დოლარი, ხოლო „ფაიზერის“ ვაქცინა ღირს 17 დოლარი. „ფაიზერის“ 90% გვაჩუქეს და ჩინური ვაქცინის 90% ვიყიდეთ...

– ბატონო გიორგი, მეც კი, რომელმაც „ფაიზერის“ ვაქცინის ორივე დოზა გავიკეთე, ძალიან დავითრგუნე, როცა განაცხადეთ, რომ აცრა ყოველ სამ-ოთხ თვეში ერთხელ იქნება საჭირო. ამას რაზე დაყრდნობით აცხადებთ?

– სხვა გამოსავალი არ არის. არ არსებობს მაგიური წამალი, რომელსაც გავიკეთებთ და მთელი ცხოვრება კარგად ვიქნებით. ჩვენ ვართ ახლა ბიოლოგიურ ომში, სადაც ეს ვირუსი იგებს და უფრო ჭკვიანი ხდება. მაგალითად, ადრე ვიცოდით, რომ „ფაიზერისა“ და „მოდერნას“ ვაქცინა ცხრა თვე იმუშავებდა, მაგრამ შეიცვალა მონაცემები... მაშინაც ვამბობდი, რომ ამ ვაქცინების ვალიდურობა იქნებოდა მხოლოდ ხუთი თვე, ვინაიდან „ფაიზერისა“ და „მოდერნას“ ვაქცინის ფუძე არის კიბოს საწინააღმდეგო წამალი. ამაზე მუშაობდნენ 30 წელი და ამ წამლის ფუნქცია იყო, რომ მოეკლა კიბოს უჯრედები, შემდეგ კი ვირუსზე გადაკეთდა. ვირუსმა „ჭკუა ისწავლა“ და ვხედავთ, რომ ყოველ სამ თვეში უნდა გავიკეთოთ ვაქცინა, თუმცა აქაც სიახლე გვაქვს, „ფაიზერი“ და „მოდერნა“ მუშაობენ, რომ ექვს-ცხრა თვემდე გახანგრძლივდეს ვაქცინაციის პერიოდი, მაგრამ არსებული ვაქცინებიდან, ჯერჯერობით, ყველაზე ეფექტურია ეს ორი ვაქცინა – „ფაიზერი“ და „მოდერნა“. საქართველოში „მოდერნა“ არ არის, არადა, მთავრობას ვეუბნებოდი, მოელაპარაკებინათ „მოდერნასთან“, ერთი წერილიც კი არ გაიგზავნიათ და ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამთ, როცა ჩვენი მეზობელი უკრაინა იღებს „მოდერნას“ ვაქცინას. აქაც ჩანს არაპროფესიონალიზმი, კომუნისტური ხედვა... ბოდიში, მაგრამ შევარდნაძიდან წამოსული კადრები რომ კიდევ ფიქრობენ საბჭოური მენტალიტეტით 21-ე საუკუნეში, ამის დრო გავიდა და ყველა საპენსიო ასაკის ადამიანი უნდა გავიდეს პენსიაზე, უნივერსიტეტებში ასწავლონ, მაგრამ საჯარო მოხელეებად არ იმუშაონ იმიტომ, რომ გავიდა ორი წელი და მავნებლობის გარდა, არაფერი გაუკეთებიათ!

ერთადერთი, რაც სწორად მოხდა პირველი ტალღის დროს, ყველაზე კარგად იმუშავა ჩვენმა პოლიციამ და პატრულმა, მაშინ ამ ბიჭებმა გააჩერეს ვირუსი და როგორც კი გადავიდა დაავადებათა კონტროლის ცენტრის ე.წ. კორიფეების ხელში, აღარაფერი სწორად არ კეთდება. ვიმეორებ, დაწერეთ, საჯაროდ, რომ მე, გიორგი ფხაკაძე, თანახმა ვარ, გავხდე დაავადებათა კონტროლის ცენტრის დირექტორი, 1 დოლარ ხელფასად! გამყრელიძემ ხომ თქვა, გადავდგები, თუ ჩემზე უკეთესი გამოჩნდებაო და ბოდიში, მაგრამ ბატონ ამირანზე უკეთესი ვარ! ოღონდ, მე უნდა გავაკეთო ის, რაც მინდა; გავუშვა და მივიღო ყველა, ვინც მინდა და არა ის, რომ ვიღაცის საყვარლები დამინიშნონ გვერდზე... ჩამოვალ, ერთ წელში დავალაგებ საქმეს და წავალ. საქართველოში დამრჩენი არ ვარ, რადგან გამლანძღავენ, მაგრამ ამას ერთი წელი ავიტან, საქმეს გავაკეთებ და წავალ... ნებისმიერი თანამდებობა საქართველოში კოშმარია, რადგან არაფერს გაგაკეთებინებენ... გახსოვთ, 82-მა ექსპერტმა რომ ვაქცინაციის გეგმა დაწერა? – მაშინ გავაკრიტიკე, რადგან სადღეგრძელოების ტექსტი იყო. იცით, რომ ამ ტექსტში ფული აიღეს? – რამდენიმე ასეული ათასი ევროა გადახდილი აზიის განვითარების ბანკიდან და ა.შ... სახელები და გვარები ვიცი, ვინც ფული აიღო. ვთქვი, რომ არ ვარგოდა ეს გეგმა, მლანძღეს, მაგრამ გამოჩნდა, ვინ იყო მართალი და ვინ – არა. ახლა კიდევ იწერება ასეთი სადღეგრძელოების გეგმა და ხომ უნდა მიხვდნენ, რომ ისინი ვერ მართავენ პანდემიას?!

ვფიქრობ, ჯანდაცვის მინისტრი არ უნდა გადამდგარიყო პანდემიის დროს, მაგრამ რადგანაც ის გადადგა, ახლანდელმა ჯანდაცვის მინისტრმა ყველა უნდა გაუშვას სახლში, ვინც იყო ჩართული ეპიდემიის მართვაში, რადგან ყველა დამნაშავეა იმაში, რომ ეს პროცესი ჩააგდეს. თუ ჯანდაცვის მინისტრი ამ ადამიანებს დატოვებს, ე.ი. მას არ უნდა ნამდვილი ცვლილებები.

რას ნიშნავს პანდემიის შემდეგ ეკონომიკის სწრაფად აღდგენა, რატომ გაძვირდა პროდუქტები და რას უნდა ველოდოთ 2022 წელს

მაკა რუხაძე

ირაკლი ღარიბაშვილის ეკონომიკურ გზავნილებს თსუ ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის გამგეობის თავმჯდომარე ოთარ ანგურიძე აფასებს

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, 2021 წელს, საქართველომ ორნიშნა ეკონომიკურ ზრდას მიაღწია. 10 იანვრის მთავრობის სხდომა პრემიერმა ეკონომიკური ანალიზით გახსნა და 18-წუთიან გამოსვლაში დეტალურად ახსნა, რამ გამოიწვია პანდემიის შემდეგ, როგორც ეროვნული ვალუტის – ლარის გაუფასურება, ასევე ცალკეულ პროდუქტებზე ფასების ზრდა. საკმაოდ ვრცელი გამოსვლიდან, „ვერსიამ“ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გამოყო ანუ ის, რაც მოსახლეობას ყველაზე მეტად აწუხებს. ესაა ინფლაცია, პროდუქტების გაძვირება და ეკონომიკური ზრდა.

პრემიერ-მინისტრის მთავარი ეკონომიკური გზავნილები „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის გამგეობის თავმჯდომარემ, ეკონომიკის ანალიტიკოსმა, ოთარ ანგურიძემ შეაფასა.

– ბატონო ოთარ, მთლიანობაში, პრემიერის ეკონომიკური ანალიზი საკმაოდ საინტერესო და შთამბეჭდავი იყო, ამიტომ ინფლაციითა და ლარის კურსის ვარდნით დავიწყოთ. როგორც ღარიბაშვილმა განმარტა, ამ მხრივ, რეგიონში საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა, მაგრამ რამდენად გადამწყვეტია ამ პროცესში ეროვნული ვალუტა – ლარის გაუფასურების მხოლოდ ეგზოგენური (გარე) ფაქტორი?

– პირველ რიგში, ერთმანეთისგან გავმიჯნოთ ლარის გაუფასურება და ინფლაცია, რადგან ეს ორი სხვადასხვა თემაა. ბოლო ერთი წელია, ვხედავთ, რომ ლარი უცვლელად დგას ერთ ნიშნულზე. დიახ, მცირედი გადახრები არის, მაგრამ ეს ბუნებრივი პროცესია და ამაში არაფერია საგანგაშო. 1 აშშ დოლართან მიმართებაში, ლარი ხან მცირედით მყარდება, ხან უფასურდება, თუმცა საშუალოდ, 1 აშშ დოლარის გაცვლითი კურსი ლართან მიმართებაში, 3.10-3.12 ლარის ფარგლებში მერყეობს და ამ დიაპაზონში ლარის მერყეობა კარგიცაა, რადგან როგორც იქნა, ბოლოს და ბოლოს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეძლო და ლარზე კონტროლი დაამყარა. შედეგად, ჩვენ გვაქვს ეროვნული ვალუტის გაწონასწორებული გადახრები, რაც სავსებით რეალური და დამახასიათებელია ჩვეულებრივი, განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებისთვის და მათ შორის, მყარი ვალუტის განსაზღვრის თვალსაზრისითაც.

რაც შეეხება ფასების ზრდას, ეს პროცესი მხოლოდ 2021 წელს არ დაწყებულა. პროდუქტები გაძვირდა მაშინვე, როგორც კი კორონავირუსის პირველი ნიშნები გამოვლინდა. მსოფლიოს მასშტაბით ფასების ზრდას ხელი იმანაც შეუწყო, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ჯერ ეპიდემია, შემდეგ კი პანდემია გამოაცხადა. ეს იმიტომ, რომ მოსახლეობაში გაჩნდა პანიკა, მით უმეტეს, „ლოქდაუნის“ დროს, პანიკის გამო, ცალკეულ პროდუქციაზე მაღალი მოთხოვნა გაჩნდა, სახელმწიფოებმა საზღვრები ჩაკეტეს და სტრატეგიული პროდუქტების საკუთარი ქვეყნებიდან იმპორტი შეზღუდეს, რის გამოც მსოფლიო ბაზარზე გარკვეული პროდუქტების დეფიციტი შეიქმნა. იქიდან გამომდინარე, რომ მწარმოებელი ქვეყანა არ ვართ და დიდწილად იმპორტზე ვართ დამოკიდებულნი, განსაკუთრებით, საკვები პროდუქტების ნაწილში, ბუნებრივია, ნებისმიერი კატაკლიზმები, ეკონომიკური იქნება, პოლიტიკური თუ სამედიცინო, პირდაპირ აისახება ჩვენს საფასო პოლიტიკაზე.

ფასები გაიზარდა იმ სასურსათო პროდუქტებზე, რომელთა იმპორტიორიცაა საქართველო. იმპორტირებული პროდუქტები, ძირითადად, მეზობელი თურქეთიდან შემოდის, სადაც მძიმე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობაა, იქაური ვალუტა – ლირა კატასტროფულადაა გაუფასურებული და ფასებიც გაზრდილია. ამ ვითარებაში ჩვენთვის ყველაზე პოზიტიური სიგნალი ისაა, რომ ლარის კურსი მყარია, არ აჰყვა ლირის გაუფასურებას, თუმცა ფასები გაიზარდა, რაც ჩვენზე არ არის დამოკიდებული, ამას ბაზარი არეგულირებს.

– ირაკლი ღარიბაშვილმა პანდემიამდელი და პანდემიის შემდგომი ეკონომიკური მდგომარეობებიც შეადარა და თქვა, რომ პანდემიის შემდეგ, სწრაფად აღდგა ეკონომიკა. სხვათა შორის, ამ თემას პრემიერმა ადრეც გაუსვა ხაზი, რასაც მისი ოპონენტების ქილიკიც მოჰყვა. რა საფუძველი აქვს ღარიბაშვილის ასეთ განცხადებას ანუ როგორ მოვახერხეთ, რომ პანდემიის შემდეგ, ეკონომიკა სწრაფად აღდგა?

– პირველ რიგში, ეს მოხერხდა იმიტომ, რომ ბიზნესი და მთავრობა მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან. რეგულაციები, რომლებსაც მთავრობა აწესებდა, წინასწარ იყო გავლილი ბიზნეს-ასოციაციებთან ანუ შეზღუდვებს, რაც მთავრობას უნდა დაეწესებინა, ბიზნესი მომზადებული ხვდებოდა. მარტივ მაგალითს გეტყვით, გარკვეულმა კომპანიებმა წინასწარ შემოიტანეს თერმოსკრინინგის აპარატები, სადეზინფექციო საშუალებები და ახლა, როდესაც, პრაქტიკულად, ყველა სასტუმროსა და რესტორანში კოვიდპასპორტებია საჭირო, შესაბამისი სკანერებიც აქვთ და საჭირო აპარატურითაც არიან აღჭურვილები. მთავრობამ კოვიდშეზღუდვები ბიზნესთან ერთობლივი მუშაობის შედეგად შემოიღო, რამაც ბიზნესს სწრაფი ადაპტაცია და ახალ რეალობაზე გადართვა გაუადვილა.

– გასაგებია, მაგრამ რას ნიშნავს ეკონომიკის აღდგენა?

– აგიხსნით: 2019 წელს, საკმაოდ კარგი ეკონომიკური მაჩვენებლები გვქონდა. ეს იყო პერიოდი, რომელიც ტურიზმის განვითარების პიკით გამოირჩეოდა. მოკლედ, 2019 წელს, პანდემია არ ყოფილა. 2020 წელს, პანდემიის გამო, ეკონომიკა დაპაუზდა, გაჩერებული ეკონომიკის აღდგენა კი იმას ნიშნავს, რომ 2019 წლის მაჩვენებლებს დავწეოდით, თუმცა ცალკეული მიმართულებები 2019 წელთან შედარებით, გაზრდილია, ვგულისხმობ ფულად გზავნილებს, რაც 2021 წელს, რეკორდულად გაიზარდა. ერთადერთი, რაშიც 2019 წლის მაჩვენებლებს ჩამოვრჩებით, ტურიზმის სექტორია, თუმცა 2021 წლის მეორე ნახევრიდან, ეს დარგიც საკმაოდ სწრაფად იზრდება და ვფიქრობ, 2022 წელს, აუცილებლად დავეწევით 2019 წლის მაჩვენებლებს.

– მართალია, პანდემიამ ეკონომიკის ყველა მიმართულება დააზარალა, მაგრამ ყველაზე დიდი დარტყმა ტურიზმმა – სასტუმროების, რესტორნების, კაფე-ბარების სექტორმა მიიღო. ამბობთ, წელს, ტურიზმი 2019 წლის მაჩვენებლებს დაეწევაო, რა გაძლევთ ასეთი ოპტიმიზმის საფუძველს?

– რამდენიმე მიზეზია, რაც მაფიქრებინებს, რომ 2022 წელი ტურიზმის სექტორისთვის პროგრესული იქნება. პირველ რიგში, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ დაადასტურა, რომ მიმდინარე წელს პანდემია დასრულდება, რამაც ძალიან ბევრი პოზიტიური მოლოდინი გააჩინა გლობალურად, მსოფლიო ეკონომიკაში. რაც შეეხება კორონავირუსის ახალ შტამებს, მართალია, სწრაფად ვრცელდება, მაგრამ სპეციალისტების განცხადებით, უფრო მსუბუქად მიმდინარეობს.

გარდა ამისა, დიახ, ტურიზმმა მძიმე დარტყმა მიიღო, მაგრამ იმავდროულად, დივერსიფიცირებაც მოახერხა. ეს ნიშნავს, რომ აქამდე, მხოლოდ რამდენიმე ლოკაცია გვქონდა, სადაც საქართველოში ჩამოსული ტურისტები მიდიოდნენ, დღეს კი, სახელმწიფოსა და ბიზნესის ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად, ტურისტული ლოკაციები საგრძნობლად გაიზარდა. უფრო მრავალფეროვანი შეთავაზებები და ბევრი სერვისი გაჩნდა ტურისტებისთვის, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ხარისხი გაიზარდა.

ამასთან, სამედიცინო ტურიზმიც ნელ-ნელა, მაგრამ ვითარდება, ვგულისხმობ წყალტუბოსა და აბასთუმნის გამაჯანსაღებელ ცენტრებს. სწორედ ასეთი პროცესები უწყობს ხელს ტურიზმის ძალიან სწრაფ აღდგენას. მეტიც, უფრო მოძლიერებულები ვართ და მეტი ტურისტის მიღება შეგვიძლია, ვიდრე 2019 წელს ანუ ტურიზმის ინფრასტრუქტურა გაცილებით ძლიერია დღეს, ვიდრე ორი წლის წინ იყო. ყველაფერი ერთად, მაფიქრებინებს, რომ 2022 წელი, ტურიზმისთვის ძალიან კარგი წელი იქნება.

დარღვევები, რომლებიც ეკატერინე ტიკარაძის მინისტრობის დროს ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებში აღმოაჩინეს

მაკა რუხაძე

აუდიტის სამსახურის სკანდალური დასკვნა

საქართველოს ჯანდაცვის სისტემა ახალ წელს ახალი მინისტრით შეხვდა, რომელიც მანამდე თავდაცვის მინისტრის მოადგილე იყო. მართალია, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ეკა ტიკარაძის შემცვლელად სამედიცინო განათლების არმქონე პირი შეარჩია, მაგრამ აგვიხსნა, რომ ზურაბ აზარაშვილი კარგი მენეჯერია. ნებისმიერ შემთხვევაში, ყოფილ ბანკირს უწყებაში არცთუ სახარბიელო მდგომარეობა დახვდება, რასაც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სკანდალური დასკვნაც ადასტურებს. სახელმწიფო მაკონტროლებლები დაინტერესდნენ, რამდენად ხელმისაწვდომია ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული კომპონენტები, კერძოდ, ბენეფიციარების სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა და მასთან დაკავშირებული ამბულატორიული მომსახურება.

აუდიტის ფარგლებში, შვიდი სახელმწიფო პროგრამა შეარჩიეს: დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა, დიაბეტის მართვა, დიალიზისა და თირკმლის ტრანსპლანტაცია, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა (მედიკამენტით უზრუნველყოფის კომპონენტი), C ჰეპატიტის მართვა, ჯანმრთელობის ხელშეწყობა (C ჰეპატიტის პრევენცია და მოსახლეობის განათლების ხელშეწყობის კომპონენტი), რომელიც შეფასდა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: ბენეფიციარზე ორიენტირებული სერვისი; ფინანსური ხელმისაწვდომობა; ფიზიკური ხელმისაწვდომობა; ინფორმაციული ხელმისაწვდომობა. როგორც მოსალოდნელი იყო, დარღვევები აღმოჩნდა შვიდივე პროგრამაში.

აუდიტის მიზანი

ვიდრე ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებში, საჯარო უწყებების მთავარი მაკონტროლებლების მიერ აღმოჩენილ დარღვევებს დეტალურად გაგაცნობთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა მთავრობის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებაა. შესაბამისად, სრულიად ბუნებრივია, რომ ჯანდაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრინციპი მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების საყოველთაო და თანაბარი ხელმისაწვდომობაა. ამის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფოს მართვის ერთ-ერთი მექანიზმია სამედიცინო პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

„ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზანია, მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფებისათვის შექმნას ფინანსური გარანტიები სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისათვის და უზრუნველყოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება. ამ მიზნის მიღწევაში მთავარი როლი ენიჭება ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალ ერთეულებს“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

დარღვევები ბენეფიციარზე ორიენტირებულ სერვისში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების მექანიზმები სათანადოდ ვერ უზრუნველყოფენ ბენეფიციარზე ორიენტირებული სერვისის მიწოდებას, კერძოდ: იშვიათი დაავადებების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სამინისტროს არ აქვს შემუშავებული და დამტკიცებული ახალი დაავადების პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმები, სერვისის დამატებას კი, შესაძლოა, დასჭირდეს რამდენიმე წელი.

„ამასთან, ამ მიმართულებით ქვეყანაში არ არის შემუშავებული ეროვნული გეგმა ან სტრატეგია და არ იწარმოება იშვიათი დაავადებების მქონე პირთა რეესტრი. შეზღუდულია პროგრამის ამბულატორიული სერვისით მოსარგებლეთა ასაკობრივი კატეგორია და მოიცავს მხოლოდ 18 წლამდე ასაკის პირებს. ეს ფაქტორები ზღუდავს სამედიცინო სერვისებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას და ამცირებს პროცესის გამჭვირვალობას“.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ იშვიათი დაავადებების, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის, ასევე დიალიზისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული რიგი სერვისები დეტალურად არ გაუწერიათ, არსებული მექანიზმები კი ვერ უზრუნველყოფენ ბენეფიციართა სრულ ინფორმირებას პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული სერვისებისა და მიმართვიანობის სიხშირის შესახებ.

„სააგენტოში დანერგილი მექანიზმები სათანადოდ ვერ უზრუნველყოფენ ხელმისაწვდომობას რიგ სამკურნალო საშუალებებზე, კერძოდ: საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სააგენტოს არ აქვს შემუშავებული მარაგების მართვის მექანიზმი. დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სააგენტომ ვერ უზრუნველყო მედიკამენტების შესყიდვა, ხოლო უკვე შესყიდული საკვები დანამატის ბენეფიციარებისთვის მიწოდება. ამის გამო, ერთი მხრივ, ბენეფიციარებმა ვერ მიიღეს პროდუქტები, რიგ შემთხვევებში კი, შესყიდულ პროდუქტს ამოეწურა მოქმედების ვადა“.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, არ არის გათვალისწინებული მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სერვისებზე მიმართვიანობის ზრდას, ხოლო იმ პროგრამის ფარგლებში, სადაც შემუშავებულია პაციენტების მიდევნებისა და მკურნალობაზე დამყოლობის მექანიზმები, სათანადოდ ვერ უზრუნველყოფენ პაციენტთა სერვისებში ჩართვას. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებულ სრულ სერვისებში ჩართულ ბენეფიციართა მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია.

დარღვევები ფინანსურ ხელმისაწვდომობაში

აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მართვის მექანიზმები სათანადოდ ვერ უზრუნველყოფენ სერვისებზე ფინანსურ ხელმისაწვდომობას.

„ამ პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურებების ფარგლებში, თანაგადახდის პირობებში, პაციენტებს ჯანდაცვის სერვისებზე გაწეული ხარჯები ეზრდებათ. კერძოდ, 2017-2019 წლებში, საყოველთაო, ქრონიკული და დიაბეტის მართვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, სააგენტო უზრუნველყოფდა ბენეფიციართათვის იდენტური სერვისების განსხვავებული თანაგადახდით მიწოდებას. 2019 წლის აგვისტომდე, ბენეფიციართა მხრიდან თანაგადახდა გათვალისწინებული იყო C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებშიც, რამაც ნაწილობრივ შექმნა სერვისების წვდომაზე ფინანსური ბარიერები“.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მართვისას, ის მექანიზმები არ გაუთვალისწინებიათ, რომლებიც უზრუნველყოფენ საბიუჯეტო სახსრების პროდუქტიულ და ეკონომიურ ხარჯვას:

„მაგალითად, დიაბეტის მართვის პროგრამის ფარგლებში, ერთი და იმავე მომსახურებას განსხვავებული ღირებულებით ანაზღაურებენ; საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, განსაზღვრულია მედიკამენტების არაოპტიმალური ღირებულებები; სერვისების დაფინანსებისთვის შემუშავებული მოდელების გლობალური ბიუჯეტისა და ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში, მიმწოდებლებს ყოველთვიურად უნაზღაურდებათ დადგენილი ფიქსირებული თანხა, ბენეფიციარების მიერ სერვისების მიღებისა და გაწეული ხარჯის მიუხედავად. შედეგად, აუდიტის პერიოდისათვის, სამედიცინო დაწესებულებებისთვის ანაზღაურებული თანხა აღემატებოდა ბენეფიციარებისთვის ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ხარჯს“.

დაფინანსების დამატებითი მექანიზმების, ასევე, სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების ოპტიმალური ღირებულებების განსაზღვრის შემთხვევაში, საბიუჯეტო სახსრები, ჯამში, 2 404 238 ლარი დაიზოგებოდა. შედეგად, ამ პროგრამებში მეტი ბენეფიციარი ჩაერთვებოდა და ხელმისაწვდომობაც გაიზრდებოდა.

დარღვევები ფიზიკურ და ინფორმაციულ ხელმისაწვდომობაში

აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ სააგენტოს მიერ დანერგილი მექანიზმები ვერ უზრუნველყოფენ პროგრამების ფარგლებში განსაზღვრული სერვისების სათანადო გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას. კერძოდ, დიაბეტის მართვის, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობისა და იშვიათი დაავადებების სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული რიგი სერვისების მიმწოდებლები, ძირითადად, კონცენტრირებულნი არიან დედაქალაქში, ხოლო ბენეფიციართა 57% – თბილისის ფარგლებს გარეთ ცხოვრობს. შედეგად, ბენეფიციართა ნაწილს ჯანდაცვის მომსახურების მიღება საცხოვრებელი ადგილიდან დაშორებით უწევს.

გარდა ამისა, გამოკითხულ პოტენციურ ბენეფიციართა ინფორმირებულობის დონე დაბალია და მათი დიდი ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას სახელმწიფოს მიერ მათთვის შეთავაზებული და დაფინანსებული ჯანმრთელობის დაცვის სერვისების შესახებ.

სამართალი

№1 12 იანვარი 2022 წ

რომელი ცნობილი ადამიანის ფსევდონიმია მამუკა მამუკაძე, რომელიც „ხელზე გამაზვებს“ კურირებს

ბათო ჯაფარიძე

„მილიარდ ხუთასი მილიონი ლარი გაედინება ქვეყნიდან ონლაინ-კაზინოების მეშვეობით. ჩვენი ახალგაზრდები ყოველდღე თამაშობენ და აგებენ ფულს. ამას უკავშირდება ნარკომანია და ჩვენი ახალგაზრდების ჩართულობა ამ მეტად დამღუპველ მოძრაობაში“, – ეს განცხადება ირაკლი ღარიბაშვილმა გასული წლის მიწურულს გააკეთა და განაცხადა, რომ სათამაშო ბიზნესს ჯერ ცხოვრებას გაურთულებდა, მომავალში კი საერთოდ აკრძალავდა.

ბოლო წლებში, საქართველოში, აზარტული თამაშების ინდუსტრია მაღალი ტემპით გაიზარდა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2017 წელს, საერთო ბრუნვის მოცულობამ 6 მილიარდი ლარი შეადგინა, 2020 წელს კი ეს თანხა 32.1 მილიარდი ლარი იყო. ყველაზე საინტერესო კი ის გახლავთ, რომ ასეთი ზრდის მიუხედავად, ბიუჯეტში კომპანიების შენატანი... არ გაზრდილა ანუ არ ჰქონდა მნიშვნელობა, ბრუნვა 6 მილიარდი იქქნებოდა თუ 32, ბიუჯეტში მაინც ერთნაირი გადასახადი შედიოდა. ამის მიზეზი, თურმე, საკანონმდებლო ჩარჩოა, რადგან რეგულაციების დიდი ნაწილი ფიზიკურ დაწესებულებებზე, სამორინეებსა და სლოტ-კლუბებზეა მორგებული და არა – ონლაინ-კაზინოებსა და ციფრულ სერვისებზე.

პრემიერის მოწოდებას პარლამენტი მალე გამოეხმაურა და დაჩქარებული წესით მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც, ონლაინ-კაზინოებს ტელევიზიებსა და ინტერნეტ საიტებზე რეკლამის მიტანა აეკრძალათ, მეტიც, რეკლამების განთავსება ბილბორდებზეც აიკრძალა ანუ მოქალაქეებს თვალში არ უნდა მოხვდეთ, რომ არსებობს ონლაინ-კაზინო.

გარდა ამისა, აიკრძალა 25 წლამდე პირთა რეგისტრაცია, ხოლო 25 წელს ზემოთ პირებისთვის – გართულდა. ახალი კანონის მიხედვით, რეგისტრაციისთვის საჭიროა პირადობის ან მართვის მოწმობის ორივე მხარე და რაც მთავარია, გადაგზავნილ საბუთთან ერთად გადაღებული „სელფი“ – პირადობის ან მართვის მოწმობა სახესთან უნდა დაიკავო და დაადასტურო, რომ ნამდვილად შენ ხარ და ნამდვილად შენ გადააგზავნე საბუთი. ეს რეალურად გამორიცხავს 25 წელს მიუღწეველი პირის რეგისტრაციას, რადგან მას შეუძლია, სრულწლოვან ოჯახის წევრს ან თუნდაც მეგობარს დროებით მოპაროს საბუთი, მაგრამ ვერ გადაიღებს „სელფს“. ერთი შეხედვით, ყველაფერი ეს ძალიან კარგია, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით.

დავიწყოთ იმით, რომ პარლამენტის მიერ მიღებული და უკვე 1 იანვრიდან ძალაში შესული კანონი ონლაინ-კაზინოებმა მუხლზე გადაიმტვრიეს. „სელფით“, პირადობის თუ მართვის მოწმობით რეგისტრაციამ, რაც სწორედ დაცვის ყველაზე კარგი მექანიზმი იყო, 1 მარტამდე ისე გადაიწია, ხელისუფლებამ არაფერი თქვა. სამაგიეროდ, ონლაინ-კაზინოებმა ჩამოურეკეს ყველა მანამდე რეგისტრირებულ მომხმარებელს და უთხრეს, რომ შეზღუდვა ორი თვით მოიხსნა და თამაში თავისუფლად შეუძლიათ.

ჩვენ ყურადღებით გავეცანით სათამაშო ასოციაციის მიერ გავრცელებულ წერილსაც, სადაც გარკვევით წერია, რომ 32-მილიარდიანი ბრუნვიდან 31 მილიარდი, მოთამაშეების მოგება გახლდათ ანუ 99.2% დახარჯული თანხიდან მოთამაშეებმა მოიგეს. ეს, რბილად რომ ვთქვათ, საოცარი ამბავია, რადგან ასეთ დაბალ პროცენტზე მსოფლიოში არავინ მუშაობს, ლას-ვეგასის ცნობილი კაზინოებიც კი, მინიმუმ, 3%-იან მოგებაზე მუშაობენ და ჩვენი 0.8%, ცოტა არ იყოს, არარეალურად ჩანდა. ამიტომ, ერთ-ერთი ონლაინ-კაზინოს მაღალჩინოსანს ვკითხეთ, როგორ დასვეს ეს ციფრი და ყველაფერი „მარტივად“ აგვიხსნეს. მაგალითად, ჩარიცხეთ 100 ლარი და დაატრიალეთ „სლოტები“. სანამ ამ თანხას წააგებთ, „სლოტი“ გაძლევთ მოგებას – ლარს, 2 ლარს, 10 ლარს. თურმე, ეს ჩათვალეს გაცემულ მოგებად და ის, რომ ცოტა ხნის შემდეგ 100 ლარს სრულად წააგებთ, ეს არ ითვლება, თამაშის დროს, „სლოტი“ რაღაც მოგებას ხომ გაძლევდათ?! რა თქმა უნდა, ეს ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი აფერაა, რადგან რეალურად, მოგება ადამიანების ჯიბეში არ მიდის და თანხა სრულად რჩება ონლაინ-კაზინოს.

არსებობს შიში, რომ აკრძალვების შემთხვევაში, მოთამაშეები არალეგალურად დაიწყებენ თამაშს და ე.წ. ხელზე გამაზვა დაიწყება. რეალურად, „ხელზე გამაზვები“ ახლაც ხშირია, რადგან ადამიანებს ფული არ აქვთ და იმის იმედად, რომ მოიგებენ, ფსონს დებენ, წაგების შემთხვევაში კი, „თავანის“ ფულზე დარბიან. სხვათა შორის, წინა ხელისუფლების დროს, „ხელზე მაზვების“ ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი და მამამთავარი თბილისის საკრებულოს ძალიან ცნობილი წევრი იყო და ის ახლაც არ ამბობს უარს ამ საქმიანობაზე. ეს პიროვნება ყველა კაზინოში ვიპ-კლიენტად ითვლებოდა და ყველგან მოგონილი სახელით – მამუკა მამუკაძით იყო დარეგისტრირებული.

ცოდვა გამხელილი სჯობს და, როცა ირაკლი ღარიბაშვილმა საკუთარი ინიციატივა გააჟღერა, მაშინვე ითქვა, იქ იმხელა ფული ტრიალებს, ასე ადვილად ვერ მოერევიან და ვერ აკრძალავენო. ჯერჯერობით, ეს ვერსია მართლდება.

რატომ ჰყავდათ საფრანგეთში შუშანაშვილი ტერორისტად გამოცხადებული

როგორც გავლენიანი ფრანგული გამოცემა – „ლე პარიზიენი“ წერს, ადგილობრივმა სასამართლომ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო და ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდი, კახა შუშანაშვილი, პრაქტიკულად, წამების მსხვერპლად გამოაცხადა. მისმა ადვოკატებმა სასამართლოს ორი წლის წინ მიმართეს და მოითხოვეს, მათი კლიენტისთვის სასჯელის მოხდის შესაძლებლობა ადამიანურ პირობებში მიეცათ. საქმის მასალების შესწავლის შემდეგ გაირკვა, რომ კახას ციხეში, დაახლოებით, ისე ექცევიან, როგორც საერთაშორისოდ აღიარებულ ტერორისტს და მას არა მარტო ნორმალურ კვებაზე არ აქვს წვდომა, არამედ, სამედიცინო დახმარებაზეც უარს ეუბნებიან.

ადვოკატების განცხადებით, შუშანაშვილის ქვედა კიდურები სასწრაფო სამედიცინო ჩარევას საჭიროებს, რადგან, უბრალოდ, ლპება და ძალიან დიდია ალბათობა, რომ ასე გაგრძელების შემთხვევაში, კიდურების ამპუტაცია დასჭირდეს.

2015 წელს დაკავებული შუშანაშვილი დღემდე სამარტოო საკანში იხდის სასჯელს. სხვათა შორის, წლების წინ, პარიზის ციხეში მყოფი ერთ-ერთი ქართველი ჰყვებოდა, რომ თუ ფრანგი ჟანდარმები მოინდომებდნენ, დაკავებულს ცხოვრებას ჯოჯოხეთად უქცევდნენ და კონვენციას თუ საყოველთაოდ აღიარებულ კანონებს არ იცავენო. სავარაუდოდ, სწორედ ასეა შუშანაშვილის შემთხვევაშიც.

ზოგადად, ევროპაში ე.წ. კანონიერი ქურდის ცნების გაგება უჭირთ და მათ ჩვეულებრივ, სიცილიური მაფიოზების დონეზე აიგივებენ, უარეს შემთხვევაში, ტერორისტთა საველე მეთაურებს ადარებენ და ექცევიან ისე, როგორც მათ მოექცეოდნენ. შუშანაშვილის ადვოკატებმა მისი საქართველოში ექსტრადირების საკითხიც დააყენეს, თუმცა უარი მიიღეს. ახლა მთავარი ისაა, კახას ადეკვატური სამედიცინო დახმარება გაუწიონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უფრო დამძიმდება.

ბათო ჯაფარიძე

რა გარიგება დადო საბჭოთა „კა-გე-ბე“-მ ბინების ყველაზე ცნობილ ქურდთან

ბათო ჯაფარიძე

ძალიან ჩახლართული კრიმინალური ამბავი

ალბათ, ხშირად გსმენიათ სამართალდამცავისა და კრიმინალის მეგობრობის შესახებ. გამორიცხულია, ძალოვანი უწყების თანამშრომელი ყველაფრის მკადრებელ კრიმინალს დაუმეგობრდეს და პირიქით – წარმოუდგენელია, ღირსეულმა კრიმინალმა საქმე უღირს ძალოვანთან დაიჭიროს. ურთიერთობა წლების განმავლობაში ყალიბდება, შემდეგ პატივისცემაში, ბოლოს კი მეგობრობაში გადადის. არცთუ იშვიათად ყოფილა, რომ სწორედ გავლენიანი და ავტორიტეტული კრიმინალების ჩარევითა და დახმარებით, სამართალდამცავებს ბევრი უღირსი და ყველაფრის მკადრებელი დამნაშავეები დაუკავებიათ და პირიქით, არცთუ იშვიათად, სამართალდამცავებს საკუთარი გავლენის წყალობით, სხვების მიერ ჩადებული იარაღი ან ნარკოტიკი ამოუღიათ და კაცი საციხოდ არ გაუმეტებიათ.

საბჭოთა კავშირის შს სამინისტროდან თბილისში შეტყობინება მოვიდა, რომ ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი ბინის ქურდი „გასტროლებზე“ საქართველოს დედაქალაქში გამოემგზავრა და მისთვის ადგილობრივ სამართალდამცავებს სათანადოდ უნდა „ემასპინძლათ“. ერთი ეგ იყო, ცენტრალური უწყება კატეგორიულად ითხოვდა, ბინის ქურდი უშუალოდ შემთხვევის ადგილზე ანუ ბინაში უნდა დაეჭირათ, ქურდობის დროს, რადგან სხვაგვარად დამტკიცება ძნელი იქნებოდა. მთელი ადგილობრივი მილიცია ფეხზე დადგა და იმის გარკვევაც კი მოახერხა, ვის ესტუმრებოდა ცნობილი „მედვეჟატნიკი“, მაგრამ თვალთვალი გამორიცხული იყო – მეთვალყურეს იოლად შეამჩნევდა და შემდეგ, ან საცხოვრებელს შეიცვლიდა, ან საქართველოს ისე დატოვებდა, ერთ ბინასაც არ გაეკარებოდა. ქართველებს კი ძალიან უნდოდათ, სწორედ ის ქურდი დაეკავებინათ, რომელსაც რუსეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და ბელორუსის ძალოვნებმა ვერაფერი მოუხერხეს.

„ყველა გამოცდილი მაძებარი, არ ჰქონდა მნიშვნელობა, რომელ განყოფილებაში მუშაობდა, საქმეებიდან მოგვწყვიტეს და ამ კონკრეტულ პიროვნებაზე გადაგვრთეს. მოვახერხეთ ის, რომ ერთ-ერთი კრიმინალი, რომელთან ერთადაც „გასტროლიორს“ ბინები უნდა „გაესუფთავებინა“, გადმოვიბირეთ და სწორედ მისი მეშვეობით ვაპირებდით კონტროლს ანუ მას უნდა დაერეკა, რომელ მისამართზე წავიდოდნენ, რომელ ბინას გაქურდავდნენ და ჩვენც სწორედ იმ ბინაში უნდა „ჩაგვევლო“, -პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი ბატონი თენგიზი იმ სპეცოპერაციას გვიყვება, რომელშიც უპრეცედენტოდ ბევრი თანამშრომელი იყო ჩართული და წარმატებაში ეჭვი არავის აეპარებოდა.

ერთი კვირა გავიდა და „გასტროლიორმა“ სამი ბინა ისე „გაასუფთავა“, სამართალდამცავები მხოლოდ მეორე დღეს იგებდნენ ქურდობის შესახებ. მათი აგენტი იფიცებოდა, არაფერი ვიცი, საღამოს გავდივართ და როცა ბინას მივადგებით, მაშინ ვიგებთ, რა და როგორ უნდა გავქურდოთ, მას ყველა დეტალი გათვლილი აქვს და ამ დროს გუნდს ვერ გამოვეყოფი და ვერ დავრეკავო. რეალურად, ის მართალი იყო და შს მინისტრი კატეგორიულად ამბობდა, არანაირი თვალთვალი, შეგვამჩნევენ და ხელიდან წაგვივაო. არადა, გაქურდული ბინები რიგითი ადამიანების არ იყო და იმის მიუხედავად, რომ დაზარალებულები ოფიციალურად ცოტა თანხას უთითებდნენ, არაოფიციალურად ასტრონომიულ ციფრებს ასახელებდნენ და საერთო ჯამში, სამი ბინიდან, 200 ათას მანეთზე მეტი იყო წაღებული. ამიტომ, „გასტროლიორს“ ხაფანგი დაუგეს, ხაფანგი, რომელშიც ის აუცილებლად უნდა გაბმულიყო და ამაში აგენტი დაიხმარეს. მათ ერთ-ერთ ბინაზე, რომელშიც ლამის მთელმა თბილისმა იცოდა, რომ დიდძალი ქონება ინახებოდა, „ნაკოლი“ მისცეს. აგენტმა „გასტროლიორს“ უთხრა, ოჯახის წევრები აგარაკზე არიან, 5 დღე შინ არ იქნებიან და წავიდეთო. ლეგენდის თანახმად, სახლში მხოლოდ დამლაგებელი მიდიოდა დილაობით, ყვავილებს რწყავდა, ოჯახის საყვარელ კატას აჭმევდა და მიდიოდა, შემდეგ კი ბინა ცარიელი იყო. რეალურად, ოჯახის წევრები, მართლაც, აგარაკზე გაისტუმრეს და ბინაში მილიციის ხუთი თანამშრომელი ცხოვრობდა. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ „გასტროლიორი“ მსუყე ბინაზე უარს არ იტყოდა, უბრალოდ, არ იცოდნენ, რომელ დღეს გადაწყვეტდა მის „გასუფთავებას“. ეს რწმენა მას შემდეგ უფრო გამყარდა, რაც „გასტროლიორმა“ ბინა დაზვერა, შეამოწმა, გარემო შეისწავლა. ყველაფერ ამას სამართალდამცავები იმავე და წინ მდებარე კორპუსებში სპეციალურად მოწყობილი ოთხი საფარიდან აკვირდებოდნენ და სურათებსაც იღებდნენ.

„სანდო ხალხთან ჩავსახლდით და სუნთქვაშეკრული ველოდით, როდის მოვიდოდა ცნობილი ქურდი მის გასაქურდად და პირდაპირ ბინაში ავიყვანდით. შეიძლება ითქვას, წინასწარ ვზეიმობდით კიდეც წარმატებას, მთავარი იყო, მოსულიყო, კარი გაეღო და ბინაში ნაბიჯი შეედგა, შემდეგ ყველაფერი ჩვენზე იყო დამოკიდებული. მე იმ ხუთ კაცში გახლდით, რომლებიც ქურდს ბინაში ელოდნენ“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ქურდი, თუ ბინის გაქურდვას ფიქრობდა, ხუთ დღეში უნდა ჩატეულიყო, რადგან ლეგენდის თანახმად, მერე ოჯახის წევრები ბრუნდებოდნენ აგარაკიდან და ქურდობა გამორიცხული იქნებოდა. აგენტმა სამართალდამაცავებს შეატყობინა, „გასტროლიორმა“ თბილისი-კიევის ბილეთები შეუკვეთა, ხვალ ღამით მიფრინავს და ბინაში თუ შევალთ, ან ამ საღამოს, ან ხვალ, დღის განმავლობაშიო. მისი ვარაუდი სწორი აღმოჩნდა – „გასტროლიორი“ კორპუსთან იმ საღამოს გამოჩნდა.

სამართალდამცავებს მღელვარებისგან სუნთქვა შეეკრათ – 10-15 წუთი და ისინი ფაქტზე დააკავებდნენ კაცს, რომელსაც საბჭოთა მილიცია 7 წლის განმავლობაში ამაოდ დასდევდა. „გასტროლიორმა“ ერთი „პადელნიკი“ გარეთ დააყენა, მეორე – კიბეზე, თავად კი კარს მიუახლოვდა და „ატმიჩკები“ ამოიღო, თუმცა...

მოულოდნელად ჩაფიქრდა, ხმადაბლა რაღაც ჩაილაპარაკა, ყველაფერი უკან ჩააბრუნა და წავიდა. ბრძანების თანახმად, მისი დაკავება არ უცდიათ, იმის გამო, რომ სადარბაზოში შევიდა, სასჯელს ვერ მისცემდნენ.

„ეს ჩვენთვის ნამდვილი შოკი იყო. ბინაში რომ არ ვყოფილიყავი, ვიფიქრებდი, რომ ვინმემ შიგნით ან ხმაურით გაირა, ან ჩაახველა და დააცემინა. არაფერი მსგავსი, მე და ჩემი ოთხი თანამშრომელი გაშეშებულები ვიდექით და ხმაურს ვინ ჩივის, ერთმანეთის სუნთქვაც კი არ გვესმოდა. მაშ, რა მოხდა, რამ გაგვცა ზედ ბინის კართან და რაც მთავარია, რა ჩაილაპარაკა გასტროლიორმა? ამას მხოლოდ ჩვენი აგენტი თუ გვეტყოდა, რომელიც იმ დროს გასტროლიორს გვერდით ედგა. ჩვენც მის ზარს ველოდით“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ბინის ყველაზე ცნობილი ქურდი კიევში შეუფერხებლად გაფრინდა. გაფრინდა ისე, რომ საქართველოში მოპარული არ წაუღია. როგორც თქვეს, ყველაფერი ქვეყნიდან გემით, ჩუმად გაიტანეს და მას ოდესაში ჩააბარეს.

რაც შეეხება მილიციის „პრაკოლს“ – კართან გასტროლიორმა ერთი სიტყვა თქვა სამჯერ – „კატა... კატა... კატა...“ შემდეგ კი, როცა თავის ბუნაგში დაბრუნდა, თანამზრახველებს უთხრა, რომ გამორიცხული იყო, ოჯახი აგარაკზე ანუ საკუთარ სახლში წასულიყო და საყვარელი კატა მომვლელისთვის დაეტოვებინა. ისინი კატას აუცილებლად წაიყვანდნენ ჰაერზე, იქ, სადაც მისი მოვლა ბევრად იოლი იქნებოდა. ამას სწორედ კართან მიხვდა და იფიქრა, რომ ყველაფერი სამართალდამცავების მოწყობილი იყო.

რა თქმა უნდა, ქართულ მილიციას კარგი დღე არ დაადგა ისევე, როგორც მანამდე, სხვა რესპუბლიკების ძალოვნებს, მაგრამ „ზემოთ“ იმასაც ითვალისწინებდნენ, რომ საქმე რიგით ქურდბაცაცასთან კი არა, საკუთარი საქმის გენიოსთან ჰქონდათ და მას ერთგვარი პატივისცემთაც კი ახსენებდნენ. ყველაფერი კი იმაზე უცნაურად დასრულდა, ვიდრე ვინმე წარმოიდგენდა:

მაშინდელ ლენინგრადში, უშიშროების ყოფილი მაღალჩინისნის (!!!) ბინის გაქურდვის შემდეგ, გაირკვა, რომ ბინიდან ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია გახლდათ წაღებული, ისეთი, რომელშიც დასავლეთი მილიონებს არ დაიშურებდა, ამიტომ „გასტროლიორს“ შეუთვალეს, საბუთების დაბრუნების სანაცვლოდ, ქვეყნიდან წასვლის უფლებას მოგცემთო. როგორც ამბობენ, მან საბუთები დააბრუნა და სანაცვლოდ, შვედეთში გადაიყვანეს. ეს გახლავთ ოფიციალური ვერსია, არაოფიციალურად კი, საბუთების დაბრუნების შემდეგ, უშიშროებამ ის, უბრალოდ, მოკლა. თუ გავითვალისწინებთ, როგორ მოქმედებდა (და მოქმედებს) რუსული „კა გე ბე“, მეორე ვერსია რეალობასთან უფრო ახლოსაა, თუმცა ვინ იცის...

ბათო ჯაფარიძე

2022 წლის 1 იანვრიდან, საქართველოში ონლაინ-კაზინოების მუშაობა გართულდა. უფრო სწორად, რეგულაციები გამკაცრდა და აზარტული თამაშები ყველასთვის ხელმისაწვდომი ვეღარ და აღარ იქნება, თუმცა სერიოზული ეჭვი გვაქვს (საფუძველიც), რომ ვივარაუდოთ – აკრძალვებისა და რეგულაციების დაწესების მიუხედავად, აზარტულ თამაშებს არაერთი ისეთი პირი ითამაშებს, რომლისთვისაც ეს დაშვებული არაა და ამ პირებში არასრულწლოვნებსაც ვგულისხმობთ. როგორ არის ეს შესაძლებელი, სამწუხაროდ, ყველაზე კარგად, სწორედ „სლოტ“-საიტების მესვეურებმა იციან, თუმცა არაფერს იზამენ, რომ ეს აკრძალვები, მართლაც, რეალური გახდეს, რადგან პირველ რიგში, ეს მათ აზარალებს და მეორეც, ეს მათი პროგრამატივა არ არის.

საშინელი ტრაგედია – აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულმა შვილმა მამა მოკლა, სახლი კი დაწვა

რა სთხოვა დაჭრილმა დედამ გამოძიებას

მეოცე საუკუნის მიწურულს თუ არ ჩავთვლით, ტერმინი „სლოტები“ უცხო იყო და კაზინო ხომ საერთოდ – ოფიციალურად, ფულზე თამაში საბჭოთა კავშირის ერთ რესპუბლიკაშიც არ შეიძლებოდა. არაოფიციალურად კი, მინი-კაზინოები ყველგან იყო და იქ ძირითადად ბანქოს თამაშობდნენ, ე.წ. რულეტკა კი გვიან შემოვიდა და საქართველოშიც ფეხი გვიან მოიკიდა. სამაგიეროდ, ქუჩის „ყომარი“ ყოველთვის არსებობდა და საქმე ხშირად იქამდეც მიდიოდა, რომ ვიღაცა ვიღაცას რამდენიმე ათასს ანუ მანქანის ფასს უგებდა. თამაშობდნენ ცნობილი ადამიანებიც, ისინიც იგებდნენ და აგებდნენ დიდ ფულს. ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ყველაფერი ეს, მილიციამაც იცოდა და უშიშროების კომიტეტმაც, მაგრამ ხან თვალს ხუჭავდნენ და ხანაც ყველაფერს სათავისოდ იყენებდნენ.

„სასწაული უნდა მომხდარიყო, რეგიონებში ჩადენილი დანაშაულის გამო, თბილისიდან რომ წავსულიყავით, მაგრამ თუ საქმე ძალიან მძიმე ან განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვქონდა, 15-მანეთიან მივლინებას არ „გვამადლიდნენ“ და ვცხოვრობდით პროვინციებში არსებულ არცთუ კეთილმოწყობილ სასტუმროებში. ეს არ ეხებოდა ზღვისპირეთს, სამაგიეროდ, ეხებოდა დანარჩენ საქართველოს და გვიხაროდა, თუ სასტუმროს ნომერში მხოლოდ თაგვები დაგვხვდებოდნენ და ვირთხები არ დაგვეჯახებოდნენ. ამიტომ, არ მომეწონა, როცა მივლინებით დასავლეთში გამიშვეს, თანაც მოყოლით ისე ჩანდა, რომ საქმე ძალიან მარტივ დანაშაულთან გვქონდა, მაგრამ მაინც წავედი, რადგან ჩვენს დროს ბრძანებებს არ განიხილავდი და, უბრალოდ, ასრულებდი“, – იხსენებს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

საქმე კი შემდეგში გახლდათ – უცხო პირი მოხუც ცოლ-ქმარს სახლში შეუვარდა, მათივე სანადირო თოფით ორივეს ესროლა, შემდეგ სახლს ცეცხლი წაუკიდა და მიიმალა. მეზობლებმა მოხუცების გამოყვანა მოახერხეს, თუმცა მამაკაცი გარდაცვლილი იყო, ქალი კი უმძიმეს მდგომარეობაში, საავადმყოფოში მოათავსეს. მეზობლების თქმით, მოხუცებმა სამი დღის წინ, „მოსკვიჩი“ გაყიდეს და თავს, სავარაუდოდ, სწორედ ავტომობილის ფულის გამო დაესხნენ. ის, რომ დამნაშავე მარტო მოქმედებდა, რამდენიმე მეზობელი ადასტურებდა – დაინახეს ერთადერთი ადამიანი, რომელიც დაბინდებისას მოხუცებთან შევიდა, მალე გაიგეს სროლა, შემდეგ ცეცხლი გაჩნდა და ვინაიდან სახლი სოფლის განაპირას იდგა, უკვე ბევრმა დააფიქსირა, როგორ გარბოდა მხოლოდ ერთი ადამიანი.

მოხუცებს ერთი შვილი ჰყავდათ, რომელიც თბილისში, სტუდქალაქში ცხოვრობდა და ეკონომიკის ფაკულტეტზე სწავლობდა. როგორც კი მომხდარის შესახებ გაიგო, ბიჭი სასწრაფოდ დაბრუნდა სოფელში, მაგრამ რა უნდა ექნა? – მამა გარდაცვლილი იყო, დედა კი სიკვდილს ებრძოდა, სახლი ნახევრად დამწვარი და საცხოვრებლად უვარგისი გახლდათ. მისმა დაკითხვამ შედეგი ვერ მოიტანა – ბიჭმა ისიც კი არ იცოდა, რომ მშობლებმა მანქანა გაყიდეს და იმასაც ამბობდა, ამის გაჭირვება არ ჰქონდათ, საკუთარ თავსაც არჩენდნენ და მეც თბილისში მინახავდნენო. სხვათა შორის, ეს მეზობლებმაც დაადასტურეს და აღნიშნეს, რომ ცოლ-ქმარს ნამდვილად არ უჭირდა, რაც მთავარია, მანქანას ბაზარში პროდუქტების წასაღებად იყენებდა და ძალიანაც სჭირდებოდა. მაშ, რა მოხდა ისეთი, რამაც ცოლ-ქმარს ავტომობილის გაყიდვა აიძულა? სწორედ ეს იყო გასარკვევი, მაგრამ, როგორ?!

სოფელში მხოლოდ ორი ნასამართლევი პირი ცხოვრობდა. გარდა იმისა, რომ სამართალდამცავებმა მათი ალიბი გადაამოწმეს, ისიც გაარკვიეს, რომ გათავისუფლების შემდეგ, კრიმინალურ სამყაროსთან შეხება არ ჰქონდათ. ეს მარტივი გასაგები იყო – ორივე გისოსებს მიღმა შემთხვევით მოხვდა: ერთი ავარიის გამო, მეორემ ნასვამზე ნახევარი ჰექტარი ხორბალი დაწვა შემთხვევით ანუ ვარაუდი, რომ ამ პიროვნებებმა ვინმეს „ნაკოლი“ მისცეს და „მოსკვიჩის“ გამო, მოხუცები სასიკვდილოდ გაიმეტეს, რეალობას მოკლებული იყო, მაგრამ ვიღაცამ ხომ იცოდა, რომ ამ ოჯახმა მანქანა გაყიდა და სახლში ფული იყო? ამ ლოგიკით, ეჭვმიტანილი მთელი სოფელი გამოდიოდა, რადგან ასეთი ამბავი სოფლად არ იმალება.

„იყო კიდევ ერთი ვერსია – მკვლელი ადგილობრივი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ იქაურობას კარგად იცნობდა, რადგან სოფლელების თქმით, ის მინდორში ზუსტად იმ მიმართულებით გარბოდა, სადაც გაჭრილ სარწყავ არხებზე მორები იყო გადებული, თუმცა სოფლელები იმასაც ამბობდნენ, რომ აგებულებით ვერ მიამსგავსეს თანასოფლელს და ზოგადად, სახლის ჩაქრობის დროს, ლამის, ყველამ ყველა გაიხსენა ანუ მთელი სოფელი იქ იყო და ცეცხლს აქრობდა მაშინ, როცა თავდამსხმელი უკანმოუხედავად გარბოდა. ეს ნიშნავდა, რომ ის ვიღაც ან ხშირად იყო ჩამოსული ამ სოფელში, ან მინიმუმ, ახლო სოფლიდან იყო და აქაურობას კარად იცნობდა“, – გვეუბნება ბატონი თენგიზი.

სამართალდამცავებმა ახლო-მახლო სოფლებიც მოჩხრიკეს, მაგრამ ისეთს ვერავის მიაგნეს, ვისზეც სერიოზულ ეჭვს მიიტანდნენ. ერთადერთი იმედი დაჭრილი ქალის გადარჩენა იყო, რომელსაც რაღაც მაინც უნდა ეთქვა და ვინ იცის, ეგებ, თავდამსხმელიც კი იცნო.

გამომძიებლებს ეჭვი ჰქონდათ, რომ მოხუცებმა თავდამსხმელი იცნეს, რის შემდეგაც გადაწყვიტა დამყაჩაღებელმა მათი დახოცვა და აკი, გაიმეტა კიდეც. ამიტომ, მოხუცის პალატას მილიციის ორი თანამშრომელი დარაჯობდა და მედპერსონალის გარდა, იქ არავის უშვებდა. რეანიმაციის განყოფილებაში ერთადერთხელ შეახედეს შვილი, რომელმაც დედას დახედა, თუმცა ექიმებმა მიახლოების უფლება არ მისცეს, აქაოდა, კომაშია, მაინც ვერაფერს გააგებინებ და ახლოდან ნახვა არც შენთვის იქნება კარგი და არც – ავადმყოფისთვისო. ერთადერთი, რასაც შვილი ითხოვდა, როცა აზრზე მოვა, მაშინვე დამირეკეთო და მართლაც, ოთხი დღის შემდეგ, ქალმა თვალები გაახილა. ექიმებმა მილიციაშიც დარეკეს და შვილსაც შეატყობინეს. სამართალდამცავებს მედიკებმა ისიც უთხრეს, გონებაზე კი მოვიდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ აუცილებლად გადარჩება, მდგომარეობა კვლავ რთულია, ამიტომ თუ დაკითხვა გინდათ, ხუთი წუთით შეგიშვებთო.

„როცა პალატაში შევედი, შვილი ადგა თავზე, ცრემლები ღაპა-ღუპით სდიოდა და მხოლოდ ბოლო ფრაზა მოვისმინე, გთხოვ, მაპატიეო. მე რომ დამინახა, გაჩუმდა და პალატიდან გავიდა. ქალმა როცა გაიგო, ვინ ვიყავი, პირი მოკუმა და ჩემს კითხვაზე, თავდამსხმელი ხომ არ იცანით-მეთქი, იმდენად კატეგორიული უარი განაცხადა, მივხვდი, მან ზუსტად იცოდა, ვინ მოუკლა ქმარი, მაგრამ იმ ვიღაცას არ იმეტებდა. ერთადერთი ვარიანტი იყო – ხელს მხოლოდ ერთადერთ შვილს დაუფარებდა და აკი, ის საეჭვო ფრაზაც გონებიდან არ მშორდებოდა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

მოიკითხეს შვილის გარემოცვა და გაიგეს, რომ ის აზარტული თამაშების დიდი მოყვარული იყო და სოლიდური თანხაც ჰქონდა წაგებული. ისიც გაირკვა, რომ წაგებული ზუსტად იმ დღეს დააბრუნა, როცა მოხუცებს თავს დაესხნენ. სამართალდამცავებმა შვილი დააკავეს და... უთხრეს, რომ დედამ აღიარებითი ჩვენება მისცა და შვილისთვის პატიება ითხოვა. დაკავებულმაც აღიარა, რომ დანაშაული თავად მოიფიქრა, თავად დაგეგმა და თავად განახორციელა, ოღონდ არ იცოდა, რომ მშობლებმა „მოსკვიჩი“ გაყიდეს. მან იცოდა, რომ მშობლებს, დაახლოებით, 2 ათას მანეთამდე დანაზოგი ჰქონდათ, წაგებული კი 5 ათასი იყო და თუ ორს ჩააბარებდა, დანარჩენს აცდიდნენ. სახლში შესულმა ნიღაბი გაიკეთა, სამალავს ეცა, მშობლები გაკოჭა, თუმცა დედამ იცნო და სახელით დაუძახა, ნუ გვაწამებ, ვიცით, რაც გჭირსო, მაგრამ უკვე აღარაფერი ესმოდა, თოფი აიღო, ორჯერ გაისროლა, შემდეგ სახლს ცეცხლი წაუკიდა და გაიქცა.

მისი აღსარების შემდეგ, უკვე დედა დაკითხეს. როგორც გაირკვა, პირები, რომლებმაც მის შვილს ფული მოუგეს, სოფელშიც იყვნენ და მოხუცებს დაემუქრნენ, თუ არ ჩააბარებს, მოვკლავთო. მათაც, სასწრაფო წესით, გაყიდეს მანქანა და მეორე დღეს აპირებდნენ შვილთან ქალაქში ჩასულიყვნენ, 5 ათასი მანეთი ჩაეტანათ და ისიც ეთხოვათ, რომ სხვა დროს აღარ ეთამაშა, თუმცა შვილმა მოვლენებს დაასწრო და გააკეთა ის, რაც გააკეთა.

დედა გადარჩა, შვილს კი, დედის თხოვნის მიუხედავად, 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. რაღა თქმა უნდა, მან დედას ცოცხალს ვეღარ მოუსწრო და როგორც ამბობენ, სოფელში აღარასოდეს გამოჩენილა. ნახევრად დამწვარი სახლი კი ჯერ ნასახლარად იქცა, შემდეგ – ნანგრევებად.

პოლიციამ თბილისში მომხდარი ძარცვის ფაქტი გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, 2004 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ნ.ნ., ძარცვის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

დანაშაული 4-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული მიმდინარე წლის 4 იანვარს, თბილისში, ვარკეთილში მდებარე „ბესტ მარკეტში“ შევიდა, მოლარე ოპერატორს ძალის გამოყენებით სალაროდან თანხა გასტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ძარცვას, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თაღლითობის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში არაერთგზის ნასამართლევი, ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი, 1993 წელს დაბადებული ზ.კ. დააკავეს. მას ბრალად ედება თაღლითობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულმა მობილურ საკომუნიკაციო აპლიკაცია Telegram-ში შექმნა არხი (ჯგუფი), სახელწოდებით – MODGOVGE INFO. იგი თავადვე უწევდა ადმინისტრირებას აღნიშნულ არხს, რომელიც დაინტერესებულ პირებს, შესაბამისი თანხის სანაცვლოდ, მართვის მოწმობის არაკანონიერი გზით შეძენას სთავაზობდა. ზ.კ. დაინტერესებულ მოქალაქეებს ერთ-ერთი უცხოური ელექტრონული საფულისა და ქართული ონლაინ-ტოტალიზატორის ანგარიშზე, ვითომდა, მომსახურების საფასურს – გარკვეულ თანხებს არიცხვინებდა და მათ კუთვნილ თანხებს თაღლითური გზით ეუფლებოდა, თუმცა მართვის მოწმობებს არ უმზადებდა.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით, რაც გულისხმობს თაღლითობას, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

ქართველი კრიმინალების „შავი“ ახალი წელი ევროპაში

ცნობილი ფაქტია – დღესასწაულების მოახლოებასთან ერთად, დანაშაულიც მატულობს და პოლიციასაც მეტი საქმე აქვს. ასე იყო ამჯერადაც – ახალი წლის მოახლოებასთან ერთად, ქურდობისა თუ ძარცვის არაერთი ფაქტი დაფიქსირდა ევროპაში და სამწუხაროდ, კრიმინალს ქართველების გარეშე არ ჩაუვლია. აგერ, პოლონეთში, ერთბაშად, საქართველოს ოთხი მოქალაქე დააკავეს, რომელთაც ადგილობრივი მედია „ქართული დანის ბანდის“ სახელით იცნობს. პოლონელი სამართალდამცავების ცნობით, აღნიშნული დაჯგუფება თავს ძირითადად ღამით ესხმოდა და მხოლოდ ძვირფასეულობა და ფული მიჰქონდა. რამდენჯერმე იყო ტელეფონის წართმევის ფაქტიც, მაგრამ ტელეფონებზე ისინი ნამდვილად არ ნადირობდნენ.

ზოგადად, ბოლო ექვსინ თვის განმავლობაში, პოლონეთი საქართველოს მოქალაქეებისთვის ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ ქვეყნად იქცა. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენი მოქალაქეები პოლონეთში ჩადიან, სამი თვის განმავლობაში მუშაობენ, შემდეგ სავიზო რეჟიმს არ არღვევენ, უკან ბრუნდებიან და იქიდან ჩამოტანილი 2 ათასამდე ევროთი, სამი თვე აქ ცხოვრობენ, შემდეგ ისევ მიდიან. ასე იქცევა აბსოლუტური უმრავლესობა, რომელთა ძირითადი საქმიანობა ტაქსისტობაა. ჰო, პოლონური ტაქსების უკვე ლამის 20%-ს, საქართველოს მოქალაქე მართავს და „ქართული დანის ბანდის“ დაკავება დანარჩენების ყოფას სერიოზულ ზიანს მიაყენებს.

როგორც გვეუბნებიან, ქართული მხარე არ აპირებს დაკავებული ოთხეულის ექსტრადირება მოითხოვოს და მათ პოლონური კანონებით გაასამართლებენ.

3 იანვარს კი საბერძნეთში, ე.წ. კანონიერი ქურდი, შოთა თევდორაძე (მეტსახელად, „შოთიკო“) მოკლეს, 41 წლის ავტორიტეტს ქილერმა ცეცხლი ცოლისა და 5 წლის შვილის თვალწინ გაუხსნა და საკონტროლო გასროლაც მათ თვალწინ განახორციელა.

როგორც ბერძნული მედია წერს, მკვლელობა კრიმინალთა შორის მიმდინარე გარჩევის შედეგად მოხდა და საქმეში ისევ ქართველთა ხელი ურევია.

როგორც წესი, ე.წ. კნონიერი ქურდის მკვლელობას საბერძნეთში ზერელედ იძიებენ და დიდი ალბათობით, ეს საქმეც გაუხსნელი დარჩება, თუმცა მკვლელობა კრიმინალურ სამყაროში უკვე იქცა გარჩევის საგნად და მთავარი პრეტენზია „შოთიკოს“ მეგობრებს იმაზე ექნებათ, რომ ლიკვიდაცია ცოლ-შვილის თვალწინ მოხდა.

სხვათა შორის, საბერძნეთში, 56 წლის ასაკში, ონკოლოგიური დაავადებით ჩირო შონია, იგივე, „ჩირო გალსკი“ გარდაიცვალა. მისივე სურვილის თანახმად, მშობლიური გალის მიწას მიაბარეს ანუ ჯერ საბერძნეთიდან თბილისში ჩამოასვენეს, შემდეგ კი, ენგურის ხიდის გავლით, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე გადაასვენეს.

ბათო ჯაფარიძე

დავით სარალიძის მკვლელობა – გიორგი მენაბდეს 14 წელი მიესაჯა

დავით სარალიძის განზრახ ჯგუფურად მკვლელობაში ბრალდებული გიორგი მენაბდე სასამართლომ დამნაშავედ ცნო. მოსამართლე ვალერიან ბუგიანიშვილის გადაწყვეტილებით, მენაბდეს სასჯელის სახედ და ზომად 14 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, თუმცა, არასრულოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, ის ერთი მეოთხედით შემცირდა და და საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 10 წელი და 6 თვე.

გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოში გამოცხადდა.

გიორგი მენაბდის ადვოკატის დავით დადიანის განცხადებით, სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას აუცილებლად გაასაჩივრებენ.

„სასამართლომ მიიღო გამამტყუნებელი განაჩენი, არ ვიცით გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებსაც დაეყრდნო სასამართლო. გამომდინარე აქედან, ველოდებით წერილობით როდის გადმოგვეცემა განაჩენი და ამის მიხედვით მოვიქცევით შემდგომ. ეს გადაწყვეტილება აუცილებლად გასაჩივრდება“, – განაცხადა დადიანმა.

ცნობისთვის, შინაგან საქმეთა სამინისტრომ დავით სარალიძის მკვლელობის ფაქტზე გიორგი მენაბდე 15 აპრილს დააკავა. უწყების ინფორმაციით, მიმდინარე გამოძიების ფარგლებში დადგინდა, რომ დაკავებულმა გიორგი მენაბდემ გიორგი ჯანაშიასთან და მიხეილ კალანდიასთან ერთად, ჯგუფურად, თან ნაქონი ბასრი საგნით, მოკვლის განზრახვით, არასრულწლოვან დავით სარალიძეს დაზიანებები მიაყენა.

2017 წლის პირველ დეკემბერს, ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე, რომელსაც ორი მოზარდის, დავით სარალიძისა და ლევან დადუნაშვილის სიცოცხლე ემსხვერპლა, მსჯავრდებულები იყვნენ – გიორგი ჯანაშია, გუგა ბარბაქაძე და მიხეილ კალანდია. აღსანიშნავია, რომ დავით სარალიძის განზრახ ჯგუფურად მკვლელობაში მსჯავრდებულმა გიორგი ჯანაშიამ პენიტენციური დაწესებულება უკვე დატოვა. ის ე.წ. უდოს კომისიამ გაათავისუფლა. მას საპროცესო შეთანხმების საფუძველზე 4 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა შეფარდებული.

რაც შეეხება მიხეილ კალანდიას, მას სამივე ინსტანციის სასამართლოს მიერ პატიმრობა 11 წლითა და 3 თვის ვადით აქვს მისჯილი.

საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი სიდნეიში დაკრძალეს

მეოცე საუკუნის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენად აღიარებული ლეგენდარული მძლეოსანი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვიქტორ სანეევი, 76 წლის ასაკში, მიმდინარე წლის 2 იანვარს გარდაიცვალა. აქტიური სპორტიდან წასვლისა და საზღვრების გახსნის შემდეგ, სანეევი მეუღლესთან და ვაჟიშვილთან ერთად, უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში, ავსტრალიაში, სიდნეიში ცხოვრობდა. ქართველ ჟურნალისტებს ის ინტერვიუზე უარს არასოდეს ეუბნებოდა და ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში თქვა კიდეც, რომ ყველაფრის მიუხედავად, დასაფლავება საქართველოში ერჩივნა.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მერიის სახელით, საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა მის ოჯახს ოფიციალურად შესთავაზა ვიქტორ სანეევის ნეშტის საქართველოში ჩამოსვენება და სათანადო პატივით დაკრძალვა საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. ამასთან, ოჯახს ეცნობა ისიც, რომ საამისოდ საჭირო ყველა ხარჯს სახელმწიფო დაფარავდა. სიმართლე გითხრათ, სანეევის მეგობრები ელოდნენ, რომ ოჯახი დათანხმდებოდა, თუმცა...

„მე და სანდრო დიდად ვაფასებთ იმ თანაგრძნობასა და თანადგომას, რომელსაც ამ დღეებში, საქართველოდან ვგრძნობთ. ჩვენ, ორივენი, მადლიერები ვართ სამინისტროსი და თბილისის მერიისა, მათი მზადყოფნისთვის, დაიკრძალოს ვიქტორი პანთეონში. იყო რა, ამაყი თავისი ქართველობით, ვიქტორი დიდად მადლიერი იქნებოდა მისი პიროვნებისა და დამსახურების ასეთი აღიარებით. ოჯახში განვიხილეთ თქვენი შემოთავაზება და მივიღეთ რთული გადაწყვეტილება, არ განვახორციელოთ იგი. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ჩვენი ოჯახი ახლა სიდნეიში ცხოვრობს, ამ უპრეცედენტო დროში ჩვენი საქართველოში მოგზაურობა, მით უმეტეს, ჩემი ასაკის გათვალისწინებით, უფრო და უფრო გართულდება და ჩვენ არ გვექნება საშუალება, მივაკითხოთ მის საფლავს ისე ხშირად, როგორც ამას ვისურვებდით. დიდი მადლობა გაგებისათვის“, – ოლიმპიურმა კომიტეტმა ლეგენდარული სპორტსმენის მეუღლის პასუხი ოფიციალურად გაასაჯაროვა.

არველაძეს ინგლისში არველაძე მიჰყავს

ადრეც ვწერდით, რომ ინგლისური ჩემპიონშიპის (რანგით მეორე ლიგა) კლუბის, „ჰალ სიტის“ ახალი მფლობელი, შესაძლოა, თურქი ბიზნესმენი, აჯუნ ილიჯალი გახდეს და ასეთ შემთხვევაში, მთავარ მწვრთნელად შოთა არველაძეს დანიშნავს-თქო. თურქმა კლუბი უკვე შეიძინა და ახლა მთელი ინგლისი იმის შესახებ წერს, რომ დღე-დღეზე, მთავარ მწვრთნელად, სწორედ არველაძე მოევლინებათ. უფრო მეტიც, ინგლისური და თურქული მედია ერთ ხმაში ამტკიცებს, შოთამ პირველი ტრანსფერი უკვე დაგეგმა და თურქეთიდან ნისლიან ალბიონზე, თავისი ძმის შვილი, ვატო არველაძე მიჰყავსო.

უმცროსი არველაძე თურქულ „ქარაგიუმრუქში“ ასპარეზობს და მის სანაცვლოდ, „ჰალი“ 1 მილიონი ევროს გადახდას აპირებს. ეს ყველაფერი, როგორც ერთი, ისე მეორე არველაძისთვის კარგი იქნება და თუ ილიჯალი კლუბში ინვესტიციების ჩადებას არ დაიზარებს, ვინ იცის, 2-3 წლის შემდეგ, შესაძლოა, „ჰალი“ პრემიერ-ლიგას დაუბრუნდეს და ტოპ-5-ის ლიგებიდან ერთ-ერთში, პირველი ქართველი მთავარი მწვრთნელიც ვიხილოთ.

ჭიკაძემ, შესაძლოა, საჩემპიონო შანსი მიიღოს

UFC-ს მსუბუქ წონაში, 5 მარტს ჩანიშნულ შეხვედრაში, მოქმედ ჩემპიონსა და ქამრის მფლობელ ალექსანდერ ვოლკანოვსკის საჩემპიონო ქამარი მაქს ჰოლოუეის წინააღმდეგ უნდა დაეცვა. ზუსტად შობის ღამეს კი ცნობილი გახდა, რომ მაქსმა ძველი ტრავმა გაიმიზეზა და ბრძოლას ჩაეხსნა. შესაბამისად, ვოლკანოვსკი მეტოქის გარეშე დარჩა და სოციალურ ქსელებში ავსტრალიელის მომდევნო მოწინააღმდეგეზე საუბარი აქტიურად მიმდინარეობს...

15 იანვარს, გიგა ჭიკაძე კელვინ კატარს ხვდება და ამ ორთაბრძოლის ფავორიტადაც მიიჩნევა. ჟურნალისტები არ მალავენ, რომ თუ ჭიკაძე მოახერხებს და კატარს დაამარცხებს, იგი ტიტულისთვის ჩხუბისთვის საუკეთესო კანდიდატია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჭიკაძე იქნება პირველი ქართველი სპორტსმენი, რომელსაც UFC-ის ვერსიით, საჩემპიონო ბრძოლის გამართვისა და შესაბამისად,სანუკვარი ქამრის მოპოვების შანსი ექნება.

თბილისის „ლოკომოტივი“... დაიშალა

თბილისის „ლოკომოტივმა“, რომელსაც სერიოზული მიზნები ჰქონდა, ეროვნული ჩემპიონატი მეხუთე ადგილზე დაასრულა და ევროთასებზე ასპარეზობის უფლება ვერ მოიპოვა. რკინიგზელებმა ბოლო ოთხი მატჩი ვერ მოიგეს, რის გამოც საპრიზო ადგილებს მიღმა დარჩნენ. როგორც ჩანს, კლუბის ხელმძღვანელობას გათვლა სწორედ ევროთასებსა და იქიდან მისაღებ ბონუსებზე ჰქონდა, რაც ვერ მოხერხდა და გუნდი ჯერ მთავარმა მწვრთნელმა, გიორგი ჭიაბრიშვილმა დატოვა, შემდეგ კი მას, პრაქტიკულად, მთელი გუნდი მიჰყვა. დღევანდელი გადმოსახედიდან, შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ლოკომოტივი“, უბრალოდ, აღარ არსებობს და მომავალ სეზონში, 17-18 წლის, გამოუცდელ ფეხბურთელთა იმედად იქნება. აი, რა განცხადება გაავრცელა კლუბმა მომხდარის შემდგომ:

„მიმდინარე ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, „ლოკომოტივი“ იძულებული გახდა, უარი თქვას მოდელზე, რომლითაც ხელმძღვანელობდა ბოლო წლების განმავლობაში. ვწუხვართ, რომ ბევრი მცდელობის მიუხედავად, ვერ ვახერხებთ შევინარჩუნოთ არსებული გუნდი, გიორგი ჭიაბრიშვილის ხელმძღვანელობით. აქამდე არსებულ ფინანსურ წყაროებზე წვდომა შეუძლებელი გახდა, რამაც გამოიწვია შექმნილი გარემოება. ჩვენ ვადასტურებთ, რომ გვაქვს ინფორმაცია სახელმწიფო დაფინანსების არსებობის შესახებ, თუმცა ჯერ არ ვიცით, რა სტრუქტურით მოხდება თანხების განაწილება კლუბებზე. აღნიშნული მოცემულობები ართულებს პასუხისმგებლობის აღებას ფეხბურთელებისა და კლუბში მომუშავე პერსონალის მიმართ. თბილისის „ლოკომოტივი“, თავისივე ფინანსური რესურსით გააგრძელებს წინსვლას და გუნდის ჩამოყალიბებას, რომლის მიზანიც ყოველთვის იყო ახალგაზრდა ფეხბურთელების განვითარება და მათი ხელშეწყობა“.

სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა საქართველოს უმაღლეს ლიგაში მოთამაშე კლუბი, სეზონის ბოლოს, ასეთ მდგომარეობაში ვარდება და ვაი, რომ ეს არც ბოლო შემთხვევა იქნება.

რატომ ჩაიშალა აზაროვის ტრანსფერი

მას შემდეგ, რაც ბათუმის „დინამო“ საქართველოს ჩემპიონი გახდა, კლუბის პრეზიდენტმა, არჩილ ბერიძემ პირობა დადო, გუნდი გაძლიერდება და ლიდერებს არ გავუშვებთ, ევროთასებზე სერიოზული გეგმები გვაქვსო. ამის მიუხედავად, თურქული სუპერლიგის ლიდერმა – „ტრაბზონსპორმა“, „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრების მცველის, ირაკლი აზაროვის მიმართ სერიოზული ინტერესი გამოთქვა და მის სანაცვლოდ, 2 მილიონ ევროსაც ჩამოვიდა. იმის გათვალისწინებით, რომ მომავალ სეზონში, ტრაბზონელებს ჩემპიონთა ლიგაზე თამაში, პრაქტიკულად, განაღდებული აქვთ და თანაც, ბათუმელებმა ირაკლი თბილისის „დინამოდან“ ორი წლის წინ 40 ათას ლარად (!) წაიყვანეს, შეთავაზება, როგორც კლუბისთვის, ისე ფეხბურთელისთვის, ძალზედ მომგებიანი იყო. მხარეები შეთანხმდნენ და აზაროვი თურქეთში კონტრაქტის გასაფორმებლად გაემგზავრა, თუმცა ბოლო მომენტში მოლაპარაკება ჩაიშალა. თურქული მედია წერდა, რომ ტრანსფერის ჩაშლის მიზეზი ბათუმელების მიერ ბოლო წამს გაზრდილი ფასი იყო ანუ აჭარულმა კლუბმა 200 ათასი ევროთი მეტი მოითხოვა, რამაც თურქული მხარე გააღიზიანა. სინამდვილეში კი...

როგორც გვეუბნებიან, ტრანსფერი თავად ფეხბურთელმა ჩაშალა, რადგან მას სხვა ჯამაგირს დაპირდნენ, ადგილზე ჩასულს კი ბევრად ნაკლები შესთავაზეს. თურქები დარწმუნებულები იყვნენ, იქ ჩასული აზაროვი უკან აღარ დაბრუნდებოდა, თუმცა ფეხბურთელს შეცვლილი პირობები არ მოეწონა და „დინამოს“ დაუბრუნდა. ეს ძალიან კარგია ამბავია, რადგან აზაროვის დონის მოთამაშე, „დინამოს“ ჩამპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ძალიან წაადგება და იქ ასპარეზობით ირაკლი სხვა, უფრო მაღალი დონის კლუბების ყურადღებას დაიმსახურებს.

სპანდალი ჩოგბურთში – ჯოკოვიჩი ავსტრალიაში დააპატიმრეს

17 იანვარს, ავსტრალიაში, სეზონის პირველი დიდი ტურნირი, ავსტრალიის ღია პირველობა გაიმართება და მწვანე კონტინენტს პლანეტის უძლიერესი ჩოგბურთელები უკვე ესტუმრნენ. სიდნეიში ჩავიდა მსოფლიოს ნომერ პირველი ჩოგანი და ტურნირის უპირველესი ფავორიტი, ნოვაკ ჯოკოვიჩიც, მაგრამ რად გინდა – სერბი აეროპორტიდან სპეციალურ, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ სასტუმროში გადაიყვანეს და იქ გამოკეტეს. მეორე დღეს, მაშინ, როცა ყველას ეგონა, რომ ნოვაკს გაუშვებდნენ და ტურნირისთვის მზადების შესაძლებლობას მისცემდნენ, ავსტრალიამ მას ვიზა გაუუქმა და ახლა ქვეყნიდან გასაძევებლად ემზადება. სერბ ვარსკვლავს ვაქცინაციის წესების დარღვევას ედავებიან.

მართალია, ნოვაკს საჯაროდ არ უთქვამს, აცრილია თუ არა კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინით, თუმცა გასულ წელს, ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ვაქცინაციის წინააღმდეგია.

„წინააღმდეგი ვარ ვაქცინაციის და არ ვისურვებდი, რომ მოგზაურობის უფლების მიღების მიზნით, აცრის გაკეთებას გვაიძულებდნენ“, – თქვა მაშინ ჯოკოვიჩმა.

ავსტრალიაში არსებული კოვიდრეგულაციების მიხედვით, ქვეყანაში აუცრელი ადამიანების შესვლა იკრძალება.

„კანონი ყველასთვის კანონია“, – ეს განცხადება კი ავსტრალის პრემიერ-მინისტრს, სკოტ მორისონს ეკუთვნის და ძნელია, შეედაო.

ისტორიაში პირველად – პიკემ სახელფასო ამონაწერი გაასაჯაროვა

კატალონიური „ბარსელონა“მ რბილად რომ ვთქვათ, არცთუ სახარბიელო დღეშია. გარდა იმისა, რომ კლუბს ფინანსური კრიზისი აქვს, ვერც ფეხბურთელები ბრწყინავენ და ერთ-ერთმა ესპანელმა ჟურნალისტმა ხმაური ატეხა, ეს იმის ბრალია, კრიზისის მიუხედავად, „ბარსა“ თავის ვარსკვლავებს ასტრონომიულ თანხებს რომ უხდისო. მაგალითისთვის, მან ხერარდ პიკე მოიყვანა და აღნიშნა, რომ წლიურად, ფეხბურთელი 28 მილიონ ევროს იღებს. ამ განცხადებამ პიკე იმდენად გააღიზიანა, რომ მან სოციალურ ქსელში საბანკო ამონაწერი და მისი წლიური შემოსავალი გამოაქვეყნა – 2 328 884 ევრო და 39 ცენტი.

„ეს არის ჩემი წლიური ხელფასის 50% და მე მის განახევრებას, სწორედ კრიზისის გამო დავთანხმდი. დიახ, 2021 წელს, მე 28 მილიონი კი არა, 2.5-იც არ ამიღია“, – დაწერა პიკემ.

ყინულის პაპის საჩუქარი

(საახალწლო მოთხრობა)

ერევაზ ინანიშვილი



ყინულის პაპას მთელ დღეს ღრმა, ჩაბნელებულ ხევში ეძინა. მზე რომ ჩადიოდა, კიდურების ჩხარაჩხურით წამოდგა (ყინულის პაპას ხომ კიდურებიც ყინულისა აქვს), გრძლად დაამთქნარა, მერე თვალები მოიჩრდილა, მიდამო მოათვალიერა და ნელ-ნელა შეუდგა თავის საქმეს. ჯერ სერს გადაუსვა ზემოდან ცივი ხელი – აი, ასე, ჩვენ რომ კატას გადავუსვამთ ხოლმე ზურგზე, – შმაშურა ბალახები გაკირჩხლა, გააშეშა; შემდეგ დაბლა დაჰყვა, კალოს პირებზე მობალახე ცხენებს, სახედრებსა და ინდაურებს ამოაძუებინა კუდები. იქიდან ვენახებში ჩავიდა, აქა-იქ შერჩენილი ფოთლები დაკრუნჩხა, დაასაცოდავა. ვენახებიდან სოფლის ორღობეებს ჩამოუარა, თამაშით გართულ გოგო-ბიჭებს ცხვირის წვერები აუწვა და სახლებში შერეკა. ჩიტუნებსაც თბილი ბულულები მოანახვინა. სულ ბოლოს, წისქვილის არხზე ჩავიდა, ნაპირთან ჩაჯდა, იდაყვებით მუხლებს დაეყრდნო, ხელები ყბებზე შემოიწყო, ლოყები დაბერა და ნელ-ნელა დაუწყო სულის ბერვა წყალს.

ზის ასე ყინულის პაპა არხის პირას, ნელ-ნელა უბერავს წყალს და თან მღერის კიდეც:

აბლი-ბაბლი, ოქროს ტახტი,
მზით ავიღე, მთვარით დავდგი.

წყალი კი იყინება. პირველად ლერწმის ღეროების ირგვლივ ჩნდება პატარ-პატარა ყინულის რგოლები. შემდეგ ეს რგოლები ერთმანეთს უერთდება, შემდეგ თხელი, ჭრაჭუნა ყინული ნაპირებიდან შუაგულისკენაც მიიწევს. ყინულის პაპა კი ისევ ისე უბერავს, ისევ დუდუნებს, ვითომ მღერის:

აბლი-ბაბლი, ოქროს ტახტი,
მზით ავიღე, მთვარით დავდგი.

მაგრამ უცებ, რაღაც უჩვეულო ხმა შემოესმა. ეს წყლის ხმა არ იყო. წყალი არასოდეს ხმაურობს ასე. ეს არც ლერწმები იყვნენ, არც ბებერი წნორები. ბებერი წნორები, როგორც ყველა ბებერი საღამო ხანს, უკვე თვლემდნენ. შეიძლება, ეძინათ კიდეც! ეს ხმა იმათ ქვეშიდან მოდიოდა. იქ თითქოს ვიღაცა იჯდა და ხელებს იორთქლავდა.

– შენ, ეი, ვინა ხარ მანდ, დამენახვე, რა სულიერი ხარ! – დაიძახა ყინულის პაპამ, მაგრამ პასუხი არავის გაუცია. ლერწმებს სიცივით აცახცახებდა, ბებერ წნორებს ნამდვილად ეძინათ. მაშინ წამოდგა ყინულის პაპა სახსრების ჭახჭახით, ბუტბუტით. წაგრძელდა, წაგრძელდა, გადაიხედა არხის მეორე ნაპირზე, აცახცახებულ ლერწმებს იქით და, აი, რა დაინახა: პატარა ბიჭი, ილა! მიმჯდარა ბებერი წნორის ძირში, მოკუნტულა, ხელები პირთან მიუტანია და გაჩქარებული იორთქლავს.

ყინულის პაპამ მშვენივრად იცის, რანიც არიან პატარა ბიჭები. „ეს აქ საკაიკაცოდ არ იქნება ჩამჯდარი, უთუოდ, გვერდელა ბებერი წნორის ფუღუროში რომ კოდალა ცხოვრობს, იმას უთვალთვალებს, იმისი დაჭერა უნდაო“. ჩაახველა, ბოხი ხმა უფრო დაიბოხა და ვითომც გაბრაზებულმა გადასძახა ილას:

– შენ, ეი, რატომ არ გესმის, რომ გეძახი! ხომ ხედავ, წყალს ვყინავ. ახლავე წადი აქედან, თორემ შენც გაგყინავ!

ილამ დიდი თვალები შემოანათა და არც ახლა უპასუხა არაფერი, ისევ ხელების ორთქლვას განაგრძობდა.

– მაშ, არ გესმის ჩემი ლაპარაკი, არა?! – მუქარით დაიქნია თავი ყინულის პაპამ, – მაშ იჯექი მანდ და, რაც დაგემართოს, შენს თავს დააბრალე.

ყინულის პაპა ჩაცუცქდა, ხელები ყბებზე შემოიწყო და მძლავრად შეუბერა. წყალს მთლიანად ყინული გადაეკრა, ლერწმები წვერებამდე შეიჭირხლნენ, ბებერმა წნორებმა ძილში იგრძნეს სიცივე და კრუსუნით გადაელაპარაკნენ ერთმანეთს:

– ოი, ოი, ეს რა ამბავია, რატომ ბრაზობს ყინულის პაპა ასე?!

ილამ კი ერთხელაც გამოხედა დიდი, უკვე დანაღვლიანებული თვალებით და უფრო აჩქარებით დაიწყო ხელების ორთქლვა.

ყინულის პაპა გაბრაზდა: ნუთუ, ამ თითისტოლა ბიჭმა უნდა მაჯობოსო! წყალს გადაალაჯა, ილას წინ დაუცუცქდა, დამცინავი თვალებით თვალებში ჩაეშტერდა და დაკვრანჩხული ჩხაკუნა თითები ნელ-ნელა მიუტანა ცხვირთან.

– მაშ, არ გეშინია ჩემი?! არ გეშინია, არა?

ილამ დაასწრო და ცხვირზე თავისი ფუნჩულა ხელები დაიფარა, მაგრამ ყინულის პაპა ცხვირში კი არა, ყურებში წასწვდა და მწარედ მოუსრისა.

– მაშ, არ გეშინია, ხომ? – ქირქილებდა ყინულის პაპა და აქა-იქ შერჩენილ ლურჯ კბილებს აჩენდა.

ილამ ახლა ყურები დაიფარა. ყინულის პაპამ კი ცხვირის წვერი მოუსრისა.

– ხა, ხა, ხა! მაშ, არ გეშინია ჩემი, ხომ?

ილამ ისევ ცხვირზე დაიწყო ხელები. ყინულის პაპა ისევ ყურებში წასწვდა. ილა ყურებს იფარავს, ყინულის პაპა ცხვირის წვერს უსრესს, თან იცინის, ჯამბაზივით ხტის.

– მაშ, არ გეშინია ჩემი, ხომ?

და ის იყო, ცრემლები უნდა წამოსცვენოდა ილას, რომ არხისპირა ბილიკიდან ნაბიჯებისა და ლაპარაკის ხმა მოისმა.

– იი, ისემც რას ვეტყვი იმასა!

ორივემ იქით მიიხედა, ილამაც და ყინულის პაპამაც. ოთხი ქალი კოლმეურნეობის ფერმიდან ბრუნდებოდა. ჭალაზე გამოევლოთ, თითო კონა ხმელი ფიჩხი შეეკრათ, შემოედოთ მხარზე, მწკრივად მოდიოდნენ გაყინულ ბილიკზე და მოლაპარაკობდნენ, ვიღაცაზე ამბობდნენ: – იი, ისემც რას ვეტყვი იმასაო!

სულ წინა ქალი ილას დედა იყო.

– დედა! დედა! – წამოხტა გახარებული ილა, – შენ გელოდები, მომეცი ფიჩხი, ფიჩხს მე წამოვიღებ.

– უიმე, ხომ გაიყინებოდი, შვილო! – შიშითა და გაკვირვებით გაუფართოვდა თვალები დედას. სხვა ქალებსაც გაუკვირდათ, – ხომ გაიყინებოდი, შვილოო, – მაგრამ ილა უკვე ფიჩხს მიაძუგძუგებდა და მხიარულად იცინოდა.

– ყინულის პაპას უნდოდა, რომ გავეყინე, მაგრამ ვერაფერი დამაკლო. ჰეჰეი, ყინულის პაპავ! აბა, მიყურე, როგორი ბიჭი ვარ, ყინულის პაპავ!

ქალებმა კიდევ უფრო გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს. ეტყობოდათ, მათ არასოდეს ენახათ ყინულის პაპა. რა ყინულის პაპა, რის ყინულის პაპა, რეებს ლაპარაკობს ეს ბიჭიო, მაგრამ რას ვიზამთ! ისინი ხომ უბრალო კოლმეურნე ქალები იყვნენ და გაგონებითაც არ გაეგონათ, რომ დიდებს არასოდეს ეჩვენებიან ასეთი რამეები თავიანთი ნამდვილი სახით! დიდები მარტო სუსხს გრძნობენ, ყინულის პაპას კი ვერ ხედავენ. ის ახლაც ორიოდე ნაბიჯით იყო დაშორებული მათგან, მაგრამ მაინც ვერ ხედავდნენ. მიჰყრდნობოდა გვერდელა წნორს და ფიქრობდა. ცოტა ხნის შემდეგ, კეფა მოიფხანა, ესე იგი, უფრო შეაწუხა ფიქრმა; მერე შუბლზედაც მოისვა ხელი, ესე იგი, სინანული იგრძნო, ეს რა ჩავიდინეო, თურმე, კარგი ბიჭი ყოფილა ილა, მე კი ტყუილად ვაწამებდიო! ბებერმა მუხლებმა ვეღარ გაუძლეს, ჩაკუნტდა, ხელები ყბებზე შემოიწყო და ახლა ასე განაგრძო ფიქრი და სინანული. ფიქრობდა დიდხანს. ფიქრობდა და დუდუნებდა თავისთვის. ამოვიდა ვეებერთელა ყვითელი მთვარე. ამოსცდა ცისკიდურზე შავად გახლართულ ხეების კენწეროებს, დაადგა თავზე ყინულის პაპას და – გამარჯობაო! – ჩამოსძახა.

და, აი, ამ ხმამ რაღაც იმედის შუქით გაუბრწყინა თვალები.

აბლი-ბაბლი, ოქროს ტახტი,
მზით ავიღე, მთვარით დავდგი, – წამოიძახა სიხარულით.

– გაგიმარჯოსო, მთვარევ! – ხელები გაშალა, დატრიალდა, კუდიანი ქარივით გადაუარა ხეებსა და ღობეებს. ჩუმად ჩაეშვა ილაანთ ეზოში, ჩუმადვე აიპარა აივანზე, მიუცუცქდა მთვარის სხივებით გაბრწყინებულ ფანჯარას, სახელო აიკაპიწა და ალერსიანი ჩურჩულით, ისე, რომ მძინარე ილას არ გაღვიძებოდა, თქვა:

– კარგო პატარა ბიჭო, ილა! მე მინდა, როგორმე გამოვასწორო ჩემი შეცდომა, მაგრამ რა გააჩნია უსახლკარო მოხუც მხატვარს, გარდა თავისი ხელობისა?! მაშ, მიიღე ეს მცირე საჩუქარი ჩემგან!

და საჩვენებელი თითით მინაზე მარდად მოხატა პირველი ქოჩორა ხე ალმასის ციმციმა ვარსკვლავებით აღსავსე ზღაპრული ტყისა, რომლის მსგავსი რამ, აქამდე არავის ენახა ქვეყანაზე.

ნაძვის ხის მოსართავი ლუდით

ამერიკულმა ლუდსახარშმა კომპანია Molson Coors, საახალწლოდ ნაძვის ხის მოსართავი გამოუშვა – მას ბურთის ფორმა აქვს, რომელშიც ლუდის ქილა თავსდება. ეს მორთულობა, საზეიმო დღეებში, ადამიანებს საშუალებას მისცემს, მეგობრების წრეში ერთგვარი ლუდის ტურნირი – Miller Lite გამართონ სახლში. მოსართავი შუაზე იხსნება, მასში ლუდის ქილა იდება და ისევ ერთდება. ქარვისფერი სასმელი რომ გამოილევა, ბურთი უკვე მზადაა ნაძვის ხეზე ჩამოსაკიდად. ერთი შეფუთვა, 6-ცალიანი მოსართავი, 19.75 დოლარი ღირს. სასმელი კი ცალკე იყიდება.

„ომიკრონი“ „დელტას“ მიმართ იმუნიტეტს აძლიერებს

სამხრეთაფრიკელი სწავლულების მიერ ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ კორონავირუსის ახალი შტამით – „ომიკრონით“ დაინფიცირებულ ორგანიზმში გამომუშავდება ანტისხეულები, რომლებსაც „დელტას“ ვარიანტის ნეიტრალიზება შეუძლიათ. აფრიკელი სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ „ომიკრონის“ განეიტრალების უნარი 14-ჯერ გაიზარდა, „დელტა“-ვარიანტის კი – 4.4-ჯერ. მკვლევართა აზრით, „ომიკრონის“ გადატანისას, „დელტა“-შტამით დაინფიცირების რისკი საგრძნობლად მცირდება. კვლევებში, დაახლოებით, 30 ადამიანი მონაწილეობდა, მათ შორის იყვნენ, როგორც აცრილები, ასევე არავაქცინირებულებიც. თითოეული მათგანი „ომიკრონით“ იყო დაინფიცირებული.

ბოტოქსი დეპრესიის წინააღმდეგ

ბევრისთვის ცნობილია, რომ ბოტოქსი – გასუფთავებული და შესუსტებული ბოტულიზმის „ა“-ტიპის ნეიროტოქსინისგან დამზადებული პრეპარატია, რომლის გამოყენებაც 1980 წლიდან დაიწყო. სინამდვილეში, ეს ნივთიერება უძლიერესი ორგანული შხამია, რომელმაც საჭმლის მომნელებელ სისტემაში მოხვედრისას შეიძლება მძიმე ტოქსიკური დაზიანება – ბოტულიზმი გამოიწვიოს. თუმცა, ამის მიუხედავად, დღესდღეობით, სპეციალური დოზებით, ბოტულინის ტოქსინი ფართოდ გამოიყენება ესთეტიკურ მედიცინაში. თუმცა ის ეფექტურია შაკიკის, კუნთების სპაზმის, ჰიპერჰიდროზისა და შარდის შეუკავლობის მკურნალობის დროს. ამერიკელმა სწავლულებმა, კალიფორნიის უნივერსიტეტიდან, დაადგინეს, რომ ბოტოქსის ინექციამ, შესაძლოა, დეპრესიისა და შფოთვის სიმპტომებიც შეამციროს. კვლევებით დადგინდა, რომ ბოტოქსის მიმღებ პაციენტებში შფოთვის რისკი 22-27%-ით დაბალია.

ეფექტური კოვიდ-პრეპარატი შექმნეს

მეცნიერებმა ისრაელიდან კორონავირუსის სამკურნალო მედიკამენტზე – Amor-18კლინიკური ცდები ჩაატარეს. როგორც ადგილობრივი გამოცემა წერს, 18-ვე ადამიანი, რომლებმაც ეს პრეპარატი მიიღეს, 100%-ით გამოჯანმრთელდნენ. ახალი მედიკამენტი ბიოტექნოლოგიურ კომპანია Amorphical-ში შემუშავდა, ტესტირება კი ზივის სამედიცინო ცენტრში ჩატარდა. ყველა პაციენტი, რომელიც ისრაელის ბიოტექნოლოგიური კომპანიის მიერ წარმოებულ მედიკამენტს იღებდა, გამოჯანმრთელდა და რამდენიმე დღის შემდეგ გაეწერა, – ნათქვამია მოხსენებაში. ცნობილია, რომ ტესტირება ჩატარდა, როგორც მსუბუქი სიმპტომების მქონე პაციენტებზე, ასევე, მძიმე ფორმით დაავადებულებზეც. პრეპარატის მთავარი შემადგენელი კომპონენტი ამორფული კალციუმის კარბონატია (ACC). მედიკამენტი პერორალურად ან ინჰალაციის გზით მიიღება. იგი გავლენას ახდენს კორონავირუსის უჯრედებში შეღწევისა და გამრავლების უნარზე.

მარტოობასთან ბრძოლის სამინისტრო შექმნეს

ამომავალი მზის ქვეყანაში მიიღეს პროგრამა, რომელიც ქვეყნის მარტოხელა მცხოვრებლების მხარდაჭერის სისტემის განვითარებას გულისხმობს. ამ პროგრამის მიხედვით, სხვადასხვა საზოგადოებრივი პლატფორმები შეიქმნება, სადაც მარტოხელა ადამიანებს შესაძლებლობა ექნებათ, კომფორტულ პირობებში, თანდათანობით ჩაერთონ ურთიერთობებში, ასევე, მოძებნონ შესაფერისი სამსახური. გარდა ამისა, იაპონიაში ჩატარდება მოსახლეობის აღწერა, რომლის მიზანიც მარტოხელა მცხოვრებლების ზუსტი რაოდენობის დადგენა იქნება. ამისთვის, მთავრობაში უკვე ჩამოყალიბებულია ცალკე სამდივნო, ასევე, შეიქმნა მარტოხელების საქმეთა სამინისტროც. იაპონიის მინისტრთა კაბინეტის მონაცემებით, ქვეყანაში მკვეთრადაა გაზრდილი თვითმკვლელობათა რიცხვი. გარდა ამისა, აქაურები განსაკუთრებული სოციალური მოვლენითაც გამოირჩევიან, რომელსაც „ხიკიკომორი“ ჰქვია. ასე უწოდებენ ადამიანებს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზთა გამო, საკუთარი სურვილით მიდიან იზოლაციაში.

„რკინის არნიმ“ ვეტერანებს სახლები აჩუქა



მსახიობმა და კლიფორნიის შტატის ყოფილმა გუბერნატორმა, არნოლდ შვარცენეგერმა ლოს-ანჯელესელ უსახლკარო ვეტერანებს საშობაოდ 25 სახლი აჩუქა. ეს ინფორმაცია „რკინის არნიმ“ საკუთარ ინსტაგრამზე გამოაქვეყნა. ცნობილია, რომ შვარცენეგერმა ამ პროექტის განსახორციელებლად 250 ათასი დოლარი გაიღო. ვეტერანებისთვის განკუთვნილ პატარა სახლებში გაყვანილია ელექტროენერგია, გათბობა, დამონტაჟებულია კონდიციონერები. დასაჩუქრებულებმა იქ შესახლება უკვე დაიწყეს. ადგილი, სადაც ეს სახლები დადგეს, შვარცენეგერმა თავადვე მოინახულა და ვეტერანებსაც გაესაუბრა.

ნარჩენებისგან კვერცხის შემცვლელს ამზადებენ

სწავლულთა ჯგუფმა, სინგაპურის ტექნოლოგიური უნივერსიტეტიდან, უჩვეულო გამოყენება მოუძებნა ლუდის წარმოების ნარჩენებს. მკვლევარებმა მის საფუძველზე მცენარეული ემულგატორი შექმნეს, რომელიც მაიონეზსა და ნაყინში კვერცხის გულს ჩაანაცვლებს. ემულგატორები პროდუქტს ერთგვაროვანი მასის შენარჩუნებაში ეხმარებიან და არ აძლევენ საშუალებას, რამდენიმე სითხედ გაიშალოს. მაგალითად, ზეთი და წყალი გამოიყოს მაიონეზში ან სხვა სოუსებში. ჩვეულებისამებრ, სტაბილიზატორად კერცხის გულს იყენებენ, თუმცა სწავლულებმა მას უსაფრთხო მცენარეული შემცვლელი მოუძებნეს. ამისთვის ლუდის მოსახარშად უკვე გამოყენებული მარცვლეული აიღეს – ყოველწლიურად, მსოფლიოში, 39 მილიონი ტონა ასეთი ნარჩენი იყრება ნაგავში და ატმოსფეროს აბინძურებს. სპეციალისტებმა კი, ახალი ტექნოლოგიის წყალობით, მისგან მცენარეული ემულგატორი მიიღეს, რომელიც გემობრივი თვისებებით არ ჩამოუვარდებს ჩვულებრივს. მის გამოყენებას ნაღების ნაყინისა და სოიოს რძის წარმოებაში აპირებენ.

ხურმა რეკორდულ ფასად გაიყიდა

იაპონიაში, აიტის პრეფექტურაში, ორი ხურმა 4.8 ათას დოლარზე მეტად გაიყიდა. საუბარია ტენკაფუბუს ჯიშის ხურმაზე, რომელიც პირველად, 2016 წელს შემოვიდა. მის გამოყვანაზე სელექციონერები 11 წელი მუშაობდნენ. ვინ შეიძინა ამ რეკორდულ ფასად ორი ცალი ნაყოფი, ჯერჯერობით, უცნობია. ადგილობრივი მცხოვრებლები, რომლებიც ვაჭრობას ესწრებოდნენ, ამბობენ, რომ ამ ხურმაზე მარტო თვალის შევლებითაც კი, შეიძლება, ადამიანმა თავი მდიდრად იგრძნოსო. სპეციალისტების თქმით, ამ ჯიშის ხურმის სიძვირე მისი წარმოუდგენელი სიტკბოთია განპირობებული – თუ ჩვეულებრივ ხურმაში შაქრის შემცველობა 15-16 გრადუსს შეადგენს, ამ ელიტურ ხილში ის 18 გრადუსს აჭარბებს.

„თეთრი სიკვდილი“ მამაკაცებისთვის

სუფრის მარილი ნამდვილად „თეთრი სიკვდილია“ – ამაში კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ იაპონელი მეცნიერები. მრავალწლიანი დაკვირვებისა და მრავალრიცხოვანი ანალიზის შედეგად, ისინი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მარილიანი პროდუქტების გამოყენება კუჭის კიბოს განვითარების შანსს აორმაგებს. თანაც, ეს ტენდენცია მამაკაცებში უფრო აშკარად გამოხატულია. ამომავალი მზის ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროს დაკვეთით, გრანდიოზული სამუშაო ჩატარდა, რომლის დროსაც ონკოლოგები 11 წლის განმავლობაში, დაახლოებით, 40 ათასი საშუალო ასაკის იაპონელი მამაკაცის ცხოვრების სტილს აკვირდებოდნენ. მედიკოსები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ მათი კვების ყოველდღიურ რაციონს, სასმელისადმი მისწრაფებასა და მავნე ჩვევებს, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენენ ჯანმრთელობაზე. მიღებული მონაცემებით, მარილიანი საკვების მოყვარულ კაცებში კუჭის კიბოთი დაავადების განსაკუთრებული რისკი 500-დან ერთს ჰქონდა. ეს ორჯერ მეტია მაჩვენებელზე, რომელიც იმ მამაკაცებში დაფიქსირდა, რომლებიც თავს არიდებენ მარილის გამოყენებას. სიმსივნის საფრთხე მარილის მოყვარულ ქალებში გაცილებით ნაკლები აღმოჩნდა– 2 ათასი ქალიდან, კიბოს განვითარების რისკქვეშ, მხოლოდ ერთი აღმოჩნდა.

ბოთლებს ტრუსები ჩააცვეს

ერთმა იაპონურმა კომპანიამ წყლისა და სხვა სასმელის პლასტმასის ბოთლებისთვის ტრუსების გამოშვება დაიწყო. მისი შემქმნელების თქმით, ეს აქსესუარი აუცილებელია იმისთვის, რომ ქსოვილმა შეინოვოს ის ტენი, რაც ბოთლის გარედან წარმოიქმნება, თუმცა ყველაზე მთავარი ისაა, რომ მაგიდაზე დადგმისას, ზედაპირი აღარ დასველდება. კომპანიამ ტრუსების რამდენიმე სახეობა უკვე გამოუშვა, მყიდველს შეუძლია, აქსესუარი საკუთარი განწყობის ან ბოთლის შიგთავსის მიხედვით შეცვალოს. გაყიდვაშია კოპლებიანი, ზოლებიანი, ლეოპარდის ტყავის მსგავსი და სხვა სახის „საცვალი“. სულ რაღაც 2 დოლარზე ნაკლებად, მსურველს შეუძლია, „ტრუსების“ მთელი კოლექცია – 7 ცალი შეიძინოს. ოღონდ, გასათვალისწინებელია, რომ აქსესუარი მხოლოდ 500 მილილიტრის მოცულობის ბოთლებს ერგება.

კოვიდსაწინააღმდეგო „ფარდა“ შექმნეს

გერმანელმა სწავლულებმა ულტრაიისფერი „ფარდა“ შექმნეს, რომელსაც საავადმყოფოებსა და სხვა სამედიცინო დაწესებულებებში გამოიყენებენ. სპეციალისტების განცხადებით, ეს ულტრაიისფერი „ფარდა“ სამედიცინო პერსონალსა და პაციენტებს კორონავირუსის გადადებისგან დაიცავს. როგორც მოწყობილობის აღწერაშია ნათქვამი, სისტემას შეუძლია, ჰაერში მნიშვნელოვნად შეამციროს, როგორც ვირუსების, ასევე, ბაქტერიების კონცენტრაცია. განათება LED-ით წარმოიქმნება. ულტრაიისფერი სხივი ვერტიკალურად მიმავალ რეფლექტორს ურტყამს, რათა გაზარდოს გამოსხივების სიმკვრივე. იმის გამო, რომ შესაძლოა, გამოსხივება საშიში იყოს, „ფარდა“ ჩაშენებულ დამცავ მოწყობილობას შეიცავს, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს მავნებელი გამოსხივება.

წლის ქვეყანა დაასახელეს

The Economist-მა წლის ქვეყნად იტალია დაასახელა. გამოცემა ამ ტიტულს იმ ქვეყანას ანიჭებს, რომლის მდგომარეობაც, მისი ექსპერტების აზრით, წლის განმავლობაში ყველაზე მეტად გაუმჯობესდა. იტალიის „წლის ქვეყნად“ დასახელებით, მან ხაზი გაუსვა პრემიერ დრაგის მიერ გატარებულ რეფორმებსა და ლიდერის თვისებებს. გამოცემა მას კომპეტენტურ, მთელ მსოფლიოში პატივცემულ პრემიერ-მინისტრს უწოდებს. იტალიის კოვიდ-ვაქცინაციის მაჩვენებელი შეფასებულია, როგორც ერთ-ერთი, ყველაზე მაღალი ევროპაში. მთავრობის გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, აპენინებზე 12 წელს გადაცილებული პირების თითქმის 89% უკვე აცრილია ვაქცინის ერთი დოზით, 85%-ზე მეტი კი უკვე სრულად არის აცრილი. გარდა ამისა, The Economist-ი აღნიშნავს, რომ იტალიის ეკონომიკა, პანდემიით მიყენებეული ზარალის შემდეგ, უფრო სწრაფად აღდგება, ვიდრე გერმანიისა და საფრანგეთისა.

ტელევიზორი გემოს გადმოცემასაც შეძლებს

იაპონელმა პროფესორმა, ტოკიოს მეიძის უნივერსიტეტიდან, ჰომეი მიაშიტამ შექმნა მოწყობილობა, რომელსაც გემოების სინთეზირება შეუძლია. მან წარადგინა სატელევიზიო ეკრანის პროტოტიპი Taste The TV (TTTV), რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება საკვების გემოს შეგრძნება. პროფესორისა და მისი 30 სტუდენტისგან შემდგარი გუნდის გამოგონების მიზანია, ადამიანებმა სახლიდან გაუსვლელად შეძლონ და შეიგრძნონ იმ საკვების გემო, რომელიც მათგან შორს, თუნდაც დედამიწის მეორე მხარეს მზადდება. ტექნოლოგიის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ტელევიზორზე დამონტაჟებულია ათი პატარა კონტეინერი სხვადასხვა არომატიზატორით, რომლებიც ერთდროულად ასხურებენ სითხეს სასურველი კომბინაციით. მისი გასინჯვა კი ეკრანის ალოკვით შეიძლება. როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ასეთი მონიტორის კომერციული პროტოტიპის წარმოება, დაახლოებით, 100 ათასი იენი დაჯდება.

ვაშლი კბილების მტერია?

ლონდონის სტომატოლოგიის კოლეჯის სწავლულები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ზიანის მიყენების მხრივ, ვაშლი ოთხჯერ (!) აღემატება გაზიან ტკბილ სასმელებს. ინგლისელი დანტისტები შეეცადნენ, დაედგინათ კავშირი დიეტასა და კბილების მდგომარეობას შორის. მათ ექსპერიმენტში 18-დან 30-წლამდე ასაკის, 1 000-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა. აღმოჩნდა, რომ მათ, რომლებიც ვაშლს მიირთმევდნენ, ემალის დაზიანების ალბათობა 3.7-ჯერ უფრო მაღალი ჰქონდათ. კბილებზე მავნე ზემოქმედებით, ვაშლი ლუდზეც უარესი ყოფილა – ქარვისფერი სითხე კბილების დაზიანების რისკს მხოლოდ სამჯერ ზრდის. მეცნიერთა მოსაზრებით, ეს ხილი ადამიანის საერთო ჯანმრთელობისთვის მართლაც სასარგებლოა, მაგრამ კბილებს აზიანებს. როგორც მკვლევარები აცხადებენ, თუ ვაშლს რეგულარულად და ნელ-ნელა მიირთმევთ, მაღალი მჟავიანობა აუცილებლად აისახება კბილების მდგომარეობაზე. უფრო მეტიც, ხილის ზოგიერთი ჯიში 4 ჩაის კოვზ შაქარს შეიცავს, რაც პირის ღრუში მჟავიანობის დონეს მკვეთრად ზრდის. მის დასაწევად ერთი ჭიქა წყალი გამოგადგებათ, თუკი ვაშლის მირთმევისთანავე დალევთ.

დიდხანს ძილიც ახდუნებს?

ფრანგული ორგანიზაცია INSERM-ის მონაცემებით, რომელიც ბიოლოგიისა და მედიცინის სფეროში ატარებს კვლევებს, ხანგრძლივი ძილი ადამიანს ზედმეტი წონის დაკლებაში ეხმარება. მათი ექსპერიმენტების შედეგები ცხადჰყოფს, რომ არა მარტო ზედმეტი კვება და დაბალი ფიზიკური აქტივობა, არამედ, ძილის უკმარისობაც ხელს უწყობს ზედმეტი კილოგრამების აკიდებას. ფრანგი სწავლულების განცხადებით, აქ საქმე ორ ჰორმონთან გვაქვს, რომლებიც მადას არეგულირებენ და რომლებსაც ძილის დროს გამოვყოფთ. ეს გრელინი (შიმშილის გრძნობასა და ცხიმების დაწვაზე პასუხისმგებელი) და ლეპტინია (ის არეგულირებს ცხიმის შემცველობას ორგანიზმში და მადას აქვეითებს). მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ თუ ადამიანს, ზედიზედ ორი ღამის განმავლობაში, 4-4 საათი სძინავს, გრელინის გამომუშავება 28%-ით იზრდება, ლეპტინისა კი პირიქით – 18%-ით მცირდება. მეცნიერებმა დაითვალეს, რომ ძილის ყოველი ზედმეტი საათი 9%-ით ამცირებს იმის რისკს, რომ თქვენს შვილს შეიძლება ზედმეტი წონის პრობლემა გაუჩნდეს.

პიცა – საუკეთესო აფროდიზიაკი

ნევროლოგმა ალან ჰირშმა იმ პროდუქტების სია შეადგინა, რაც მამაკაცს ყველაზე მეტად აღაგზნებს. მისი თქმით, პირველ რიგში, ასეთ საკვებს მიეკუთვნება შოკოლადი, პიცა და საქონლის შემწვარი ხორცი. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ შოკოლადის სურნელი მამაკაცს არა მხოლოდ რომანტიკულ განწყობზე აყენებს, არამედ, სუსტი სქესის წარმომადგენლებიც კი, მათთვის უფრო მომხიბვლელები ჩანან. პიცისა და შემწვარი ხორცის არომატი კი სისხლის მიმოქცევას აძლიერებს. აფრიდიზიაკების სიაში აღმოჩნდა აღმოსავლური სანელებლები, „კოლა“, კრემიანი ღვეზელები, პოპკორნი და გოგრის ღვეზელი. ექსპერიმენტებისას, გოგრის ღვეზელისა და ლავანდის სურნელი იდეალური შერწყმა აღმოჩნდა – ასეთი ეფექტი ქალის არც ერთ სუნამოსაც კი არ აღმოაჩნდა.

„ჯოჯოხეთური“ მაღვიძარა არ მოგასვენებთ

როგორც წესი, ადამიანებს დილით ადრე გაღვიძება ძალიან უჭირთ. ამას ვერც დროულად მომართული მაღვიძარა შველის. დილაობით, ზარის ჩასახშობად ღილაკი snooze რომ არ გამოიყენოთ, ამაში ახალი მოწყობილობა Ramos დაგეხმარებათ. ის მსოფლიოში ყველაზე აბეზარ, ჯოჯხეთულ მაღვიძარად აღიარეს. საათი ყველას აიძულებს, დაყენებულ დროს გაიღვიძოს და გამოფხიზლდეს. ის თითქმის გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ადამიანმა ძილი შეიბრუნოს. Ramos-ის შემქმნელებმა მას საერთოდ არ დაუმონტაჟეს ღილაკი snooze. მას ვერც დენის წყაროდან გამორთვა შველის, რადგან მაღვიძარა მაინც განაგრძობს წკრიალს და ადამიანის გაღვიძების პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებს. გარდა ამისა, საათს ბლოკირების სიტემა აქვს, რაც არ იძლევა იმის საშუალებას, რომ დაყენებული დრო შეცვალოთ. თუკი მაინც შეეცდებით ამას, მაღვიძარა „ბრაზდება“ და უფრო ხმამაღლა წკრიალებს. მსოფლიოში ყველაზე „ჯოჯოხეთური“ მაღვიძარას გამორთვის ორი საშუალება არსებობს – ის ან ჩაქუჩით უნდა დაამტვრიოთ, ანდა სამართავ კლავიატურაში კოდი შეცვალოთ. Ranos-ი 25 წლის ინჟინერმა შექმნა, რომელიც აცხადებს, რომ სწორედ დილით ადრე გაღვიძების პრობლემამ შთააგონა მსგავსი გაჯეტის შექმნა. როგორც ვარაუდობენ, მისი ნახელავი გასაყიდად ბაზარზე უახლოეს პერიოდში გამოვა.

ახალგაზრდებს სახლებს უფასოდ აძლევენ

იაპონელ ახალგაზრდებს ყველა შანსი აქვთ, უფასოდ მიიღონ საცხოვრებელი – პატარა ქალაქების ხელისუფლებები მათ მიტოვებულ სახლებს სთავაზობენ. 2021 წლის ბოლო თვეს, ამომავალი მზის ქვეყანაში ამოქმედდა პროგრამა, რომელმაც ქვეყანაში მიტოვებული სახლების რაოდენობის შემცირებას უნდა შეუწყოს ხელი. ქალაქების ადმინისტრაციები ამ სახლებს სიმბოლურ ფასად ყიდიან, ანდა სულაც უფასოდ აძლევენ მსურველებს. ასეთი სახლის მისაღებად საჭიროა, იაპონიის მოქალაქე იყოთ ანდა გქონდეთ სამუშაო ვიზა და სამსახური. ამჟამად, ქვეყნის ტერიტორიაზე, დაახლოებით, 8 მილიონი მიტოვებული სახლია. ამის ძირითადი მიზეზი დემოგრაფიულია: მოხუცებს აღარ შეუძლიათ საკუთარი უძრავი ქონების შენახვა და საცხოვრებლად შვილებთან ან მოხუცებულთა სახლებში გადადიან. მათი გარდაცვალების შემდეგ კი სახლი უპატრონოდ რჩება.

მობილური უნიტაზზე ბინძურია

მობილური ტელეფონები შვიდჯერ უფრო ბინძური ყოფილა, ვიდრე უნიტაზების დასაჯდომები. სმარტფონების ზედაპირი სავსეა სხვადასხვა სახის პათოგენებით, – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ მკვლევარები, აბერდინის უნივერსიტეტიდან. მათ ოფისებში მომუშავეებზე ჩაატარეს კვლევები. აღმოჩნდა, რომ მათი 40% საპირფარეშოში ტელეფონით ხელში მიდის. სპეციალური მიკროსკოპების საშუალებით, რომლებსაც გასაკუთრებული ნათება აქვთ, მკვლევარებმა შეისწავლეს სმარტფონებისა და უნიტაზის დასაჯდომების ზედაპირები და გასაოცარი შედეგი მიიღეს – მიკრობების დონე გაცილებით მეტი იყო ტელეფონის ზედაპირზე. გარდა ამისა, უამრავი მავნე მიკროორგანიზმი აღმოჩნდა სმარტფონების ბუდეებშიც, განსაკუთრებით, ხელოვნური ტყავისა და პლასტიკატისგან დამზადებულში.

სამართალს ჰარი პოტერის მიხედვით შეასწავლიან

ინდოეთში, კალკუტის იურიდიულ მეცნიერებათა ეროვნულმა უნივერსიტეტმა კურსი დააანონსა, სადაც სამყაროს სამართლის პრინციპებს „ჰარი პოტერის“ მიხედვით შეასწავლიან. კურსის გამოქვეყნებული პროგრამის მიხედვით, სტუდენტები ზამთრის სემესტრის განმავლობაში, შეისწავლიან შინაური ელფების მონობასთან დაკავშირებულ სიტუაციას, დისკრიმინაციასა და შენახვის პირობებს აზკაბანში. განსაკუთრებულ ყურადღებას პედაგოგები „უპატიებელ წყევლას“ დაუთმობენ, რომელიც ჯადოქრების სამყაროში უკანონოდ მიიჩნევა: მკვლელობა, წამება და ადამიანის ნების სრული დამორჩილება. პროგრამაში აღნიშნულია, რომ კურსის დროს, ბიუროკრატიას განიხილავენ ჯადოქრობის სამინისტროს მაგალითზე, ეკომონიკის მუშაობას – გრინგოტსის ბანკისა და ასე შემდეგ. კურსის ავტორი იმედოვნებს, რომ სტუდენტები პასუხისმგებლობით მიუდგებიან ქვეყანაში არსებულ პრობლემებს. მათგან ითხოვენ, რომ „პოტერიანა“, სულ მცირე, ორჯერ მაინც წაიკითხონ.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.